

სპორტიელი

საქართველო
საბავშვო

სკორტული გაზეთი

ოთხშაბათი 23 აპრილი 2000 №161 (1183)

ფასი 50 თეთრი



REUTERS ზაგრაბიძე

უკრაინელმა ანდრეი შევჩენკომ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე „მილანისთვის“ უკვე ოთხჯერ გაიტანა

REUTERS პარალიძე



ჩემპიონთა ლიგის კარი მეორე უკრაინულმა კლუბმა, დონეცკის „შახტარმა“ შეიღო

ლობანოვსკი გულს უჩივის, უკრაინელები ბედს — არა

უკრაინულმა ფეხბურთმა გუშინ კიდევ უფრო წინ წაინა — დონეცკის „შახტარი“ ჩემპიონთა ლიგაშია. არადა, დონეცკელებს საშინაო მატჩი წაგებული ჰქონდათ და საპასუხო შეხვედრის ბოლო წუთამდეც ანგარიში ხელს არ აძლევდათ. დღეს ერთ კითხვასაც გაეცემა პასუხი: რამდენი გუნდი ეყოლება უკრაინას უმთავრეს ევროტურნირში? ის, რაც „შახტარმა“ შეძლო, კიევის „დინამოსგან“ გასაკვირი სულაც არ იქნება. კიეველები ჩემპიონთა ლიგაში მოსახვედრად „ცრენა ზევზდას“ ბელგრადში ეთამაშებიან. შინაური ფრის მერე მათ უძნელესი შეხვედრა ელით, მაგრამ „შახტარმა“ თუ შეძლო... დინამოელთა ამოცანას ისიც ართულებს, რომ ავადმყოფობის გამო ბელგრადში ვერ ჩაივინა ვალერი ლობანოვსკი. თუ რა ანუხებს „დინამოს“ მწვრთნელს, არ იუწყებიან, მაგრამ ცნობილია, რომ 61 წლის ლობანოვსკი გულს უჩივის, რის გამოც მას წინა სეზონშიც არაერთი თამაში გაუტყდენია.

გუშინდელ შეხვედრათა ანგარიშები იხილეთ ბოლო გვერდზე

ვლადიმერ სტეფანია დეტროიტში?




დიდება გარიგებამ ქართველ კალათბურთელს შეიძლება კლუბი გამოაცვლევინოს



იარაბეები ელის სურსცილავას, პატივს სცემს გობიჩაიშვილს და ბორჯომს

თბილისის „ლოკომოტივის“ მეტოქე ბრატისლავის „სლოვანი“ უფასო თასის საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო მატჩის სათამაშოდ გუშინ ვენიდან 6 საათზე ჩამოფრინდა. სლოვაკებმა სასტუმრო „შერატონში“ შეიარეს, ბარგი დაყარეს და უსაძილოდ „დინამოს“ საწვრთნელ ბაზას მიაშურეს დილოში. მასპინძლებმა სტუმრებს თბილისში პირველად სავარჯიშოდ სწორედ „დინამოს“ ბაზის ერთ-ერთი მოედანი დაახვედრეს. დღეს კი „სლოვანი“ ზვალინდელი მატჩის დაწყების დროს, 19 საათზე, ეროვნული სტადიონის მინდორს მოსინჯავს. ბრატისლაველები ბაზას „ლოკომოტივის“ ავტობუსით „დინამოს“ გაგანია ვარჯიშისას მოადგნენ. ორიოდ წუთი გასახდელში დაჰყვეს და მერე საათნახევარს მწვრთნელ სტანისლავ იარაბეის მითითებებს ისმენდნენ. „სლოვანი“ თბილისში 18 ფეხბურთელითა და კლუბის 12 მოხელის ჩამოვიდა. გენერალურ დირექტორ პეტერ ჟიდოვსკის რომ კვიტხეთ, ჩარტერული რეისით რად არ ჩამოფრინდითო, მოკლედ გვიპასუხა, ძვირი დაგვიჯდებაო. „სლოვანმა“ ბრატისლავიდან დაახლოებით 50 კილომეტრი ავტობუსით იმგზავრა, ფოკლეკარი სავიზო-საპასპორტო პრობლემების გარეშე სლოვაკეთ-ავსტრიის საზღვარი გადაიარა და ვენიდან გამოფრინდა. ჟიდოვსკისვე თქმით, „სლოვანი“ „ლოკომოტივთან“ საპასუხო მატჩისთვის უძლიერესი შემადგენლობით ემზადება — „ლოკომოტივმა“ ბრატისლავაში კარგი გუნდის შთაბეჭდილება დატოვა, ერთი-ორჯერ კი ნამდვილად გადაფრჩით, თბილისელებს იქ რომ გაეტანათ, შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი ძალიან შეგვიმცირებოდაო — გვითხრა „სლოვანის“ გენერალურმა დირექტორმა.

იხილეთ მეორე გვერდი



სტანისლავ იარაბეი

გაბრიელ კატილიძის ფოტო



ბრატისლავურ მატჩში პირველი გოლის გამტანი ტიბორ იანჩულა



„სლოვანის“ ბომბარდირი ლუბომირ მესაროში და სათადარიგო მეკარე მარიან ჩერნი

დასაწყისი პირველი გვერდები

თბილისში წამოსვლის წინ „სლოვანის“ მწვრთნელ სტანისლავ იარაბეკს ერთი უცნაური გადაწყვეტილება მიუღია — სახვლიო მატჩისთვის ერთ-ბაშად სამ მეკარეს ამხადებს და ძირითადი ვერც არ შეურჩევია. ახლა სამივე მეკარე თბილისშია და გუშინაც ერთობ მონდომებით ივარჯიშეს. მათში უფრო ძლიერად ბერნადი კი ითვისება, მაგრამ ჩერნიმაც ძალიან იყო ჩაღა და მწვრთნელისგან ქებაც დაიმსახურა.

ერთი შეხედვით „სლოვანი“ უძლეველი სულაც არ ჩანს, ჩვეულებრივი გუნდია, ფინანსურადაც არცთუ დაღვნილი. სპონსორი ერთი გვეყვს, ოღონდ ტექნიკური, ავერ, ეს სამოსი ამას წინათ „ადიდასმა“ გადმოგვცა, ფეხბურთელებს კი ხელფასი საშუალო ევროპულზე დაბალი აქვთ — განგვიცხადა ფილოვსკიმ.

ფული „სლოვანს“ თურმე შარშან ჰქონდა. გუნდს სლოვაკეთში ერთ-ერთი უდიდესი კომპანია პატრონობდა, მაგრამ გაზაფხულზე ამ კომპანიის პრეზიდენტი მოუკლავთ და გუნდი ბედის ანაბარა დარჩენილა, საქმე იქამდეც კი მისულა, რომ „სლოვანს“ უძლიერე-

სლოვანის ლოგოტივი — სლოვანი 24 აგვისტო. 19 საათი. თბილისი. ეროვნული. ტელეფონი 70 900

იარაბაკი ელის სურსილავას, პატივს სცემს გობიჩაიშვილს და გორჯოშს

სთა ლიგვიდან გავარდნაც ემუქრებოდა. მწვრთნელად სტანისლავ იარაბეკის, პრეზიდენტად ლუდოვიტ ვნობას დანიშნვის შემდეგ კი გუნდს თამაში გამოუსწორებია და ერთხანს მათე აღვილზე მყოფს ჩემპიონატი მესამეზე დაუშვებია.

„სლოვანი“ უმეტესწილად სამი მცველით — პეტკო, ტიქო, პრნარი — თამაშობს. ამის მიზეზი კი ის ყოფილა, რომ სლოვაკეთის ჩემპიონატში მონაწილე ყველა გუნდი „სლოვანთან“ თურმე ძალიან ფრთხილობს და იარაბეკსაც მეოთხე მცველის დაყენება არ სჭირდება — რატომ ვათამაშო მეოთხე მცველი, როცა ვიცი, მეტოქე თავს

დაიცავს და არ შემოგვიტეხსო — გვითხრა იარაბეკმა, თუმცა ისიც დასძინა, „ლოკომოტივთან“ რამდენი მცველით თამაში ავობებს, ამას კიდევ მოფიქრება უნდა.

„სლოვანი“ ხვალინდელ მატჩს, მოგეხსენებათ, ორბურთიანი ფორით დაიწყებს და სტანისლავ იარაბეკს სწორედ ამის თაობაზე რომ გვითხვ, თავს შემდეგ ეტაპზე გასულად თუ თვლით-მეთქი, ისეთი თვალებით შემომხედა...

მწვრთნელი მომჩრებოდა და ხმას არ იღებდა. ბოლოს კითხვის გამეორება დაეპირე და არც დამამთავრებინა — თბილისში ურთულესი მატჩი გველის, მეტოქეს ასეთ სიცხეში უნდა

ვაჯობოთ, მართალია, ბრატისლავაშიც თითქმის ეს ტემპერატურაა, მაგრამ ჩვენ ასეთ სიცხეებს ნაჩვევი არ ვართო.

ძირითადი შემადგენლობის თაობაზე „სლოვანის“ მწვრთნელმა ლაპარაკი არ ისურვა, მხოლოდ განგვიცხადა, რომ ბრატისლავურ მატჩთან შედარებით „სლოვანში“ შეიძლება ერთი-ორი ფეხბურთელი შეიცვალოს. ეროვნულ სტადიონზე დღეს ჩატარებული ვარჯიშის შემდეგ იარაბეკი ყველაფერს საბოლოოდ გააკრევეს და არც ისაა გამორიცხული, „ლოკომოტივთან“ სათამაშო შემადგენლობაც დღეს სადამოსვე დაგვისახელოს.

იარაბეკს ქართული კონიაი ხომ მო-

სწონს და მოსწონს, არანაკლებ თურმე ბორჯომის წყალიც. სტუმრებს ვარჯიში დაწყებულიც არ ჰქონდათ, რომ მან ბიჭებისთვის სწორედ ბორჯომის წყალი ითხოვა. მასპინძლებმა ორი შეკვრა რამდენიმე წუთშივე უბოძეს და როცა ვარჯიშს მორჩნენ, იარაბეკმა ორივე შეკვრას თავად დაავლო ხელი, ავტობუსისკენ მიმავალმა დახმარება ცოცხალი თავით არავის დაანება, ჩვენ კი გვითხრა, „ლოკომოტივთან“ თამაშისას ესეც გამოგვადგებაო.

და ერთიც, „სლოვანის“ მწვრთნელი თურმე განსაკუთრებით კახა გოგიჩაიშვილს უფრთხის. მისივე თქმით, „ლოკომოტივის“ ექვს ნომერს ბრატისლავაში ჩინებულად უთამაშია და მასპინძელთათვის ბევრი პრობლემა შეუქმნია. ისე ილაპარაკა იარაბეკმა კახას შესახებ, სავსებით შესაძლებელია, ხვალ მის წინააღმდეგ რომელიმე ფეხბურთელს პერსონალურად თამაში დაავალოს.

მწვრთნელმა, როგორც იქნა, ბორჯომის წყალი თანაშემწეს ჩააბარა, თავისთვის ერთი ბოთლი დაიტოვა, შეგირდებს ავტობუსისკენ მიუთითა და ისევე როგორც ორიოდ კვირის წინ, მურთაზ ხურცილავა გვისხენა, თამაშზე თუ იქნებაო.

კობა ინასარიძე

წინ, ტრადიციული ფოთოლსკენი!

ათფლეულზე მეტია, რაც ქართული კლუბები შემოდგომაზე ამთავრებენ ევროსარბილზე „საქმიანობას“. უახლოეს წარსულში ჩვენები ამას უკვე წელიწადის ბარაქიანი დროის ადრეულ პერიოდს, ფოთოლსკენის დაწყებას ამთხვევდნენ. „მწუხარე იყო, ვით შემოდგომა“ — აეკვიტებოდა ხოლმე ქართული ფეხბურთის შემყურე კაცს ეს სტრიქონი. ეროვნული ნაკრების პირველი წარუმატებლობებიც ხომ ძალაუბრებდა კლუბთა ევროპიდან ცვენის თანხედრი გახლდათ.

სარკაზმი იქით იყოს და წლეულს ასეთ ავადთსაც რეალური საფრთხე ემუქრება. ალბათ არ გვიწყენენ ვიტყვებით, თუ „ლოკომოტივის“ უფრო გვეიმედება, რომ შემოდგომას მიატანს.

მშრალი ორბურთიანი ფორის შემდეგ ოპტიმიზმის მყარი საფუძველი აქვს ბრატისლავის „სლოვანს“, რომელიც, წესისამებრ, დღეს ივარჯიშებს ეროვნულზე გუშინ კი ჩვენი უმთავრესი სარბიელი „ლოკომოტივის“ დაუთმო. ტრადიციული მოთელვა-გახურება,

კვადრატი და რევაზ ძიძუაშვილმაც მოედინის ცენტრისკენ უხმო ბიჭებს. მწვრთნელმა ტაქტიკურ-ფუნქციური დარიგება მისცა შეგირდებს და ორმხრივი თამაშისთვის შემზადებულებიც საქმეს შეუდგნენ. ძირითადი შემადგენლობა სათადარიგოებს დაუპირისპირდა, ოღონდ გუნდის პირველი მეკარე გიორგი ლომია სლოვაკეთთან სათამაშოდ განთესილებში ვერ მოხვდა, ალბათ, ვარჯიშზე გვარიანი გარჯა და ჯაფა რომ დასდგოდა, იმიტომ.

შიდალოკომოტივიური მატჩი უჩვეულოდ კვიმატი გამოდგა. ვარჯიშის პირობაზე ფეხბურთელები გულიანად, ბოლომდე იზარჯებოდნენ, ორთაბრძოლაში მეტად ხისტად და შეუპოვრად მოქმედებდნენ. შედეგად, არცთუ მსუბუქად დამავდა და მინდორი ნაადრევად დატოვა ცეზარ ხუროძემ. ტრავმირებულია რკინიგზელთა გუნდის კიდევ ერთი ახალგაზრდა ფორვარდი მერაბ ძიძუაშვილი. „ლოკომოტივის“ თავკაცი რევაზ ძიძუაშვილი კი სამთავრობო ლოყის ქვეშით მოკალათდა და

იქიდან ხმამაღალი შეძახილებით მოძღვრავდა ფეხბურთელებს.

ვარჯიშზეც და სამტრედიელებთან პირველი ტურის მატჩშიც მენიშა, რომ რკინიგზელთა გუნდი თანაბრად არ არის მომზადებული. ზოგი მართლაც კარგ ფორმაშია, ზოგიც ცოტა მოიკოჭლებს. ორმხრივი მატჩი, 20-20 წუთიანი ტაიმებით კი ლოკომოტივი შედეგით ჩათავრდა 2:1.

გაუტანს „ლოკომოტივი“ სამ უპასუხო ბურთს მეტოქეს? პროგნოზი მართლაც საჩიოთროა. 2:0-ზეც არ ვიქნებით უარზე — ასეთი ანგარიში, როგორც შევატყვე, არც რევაზ ძიძუაშვილისთვისაცაა წარმოუდგენელი — ორმხრივი თამაშის შემდეგ მან თითოეულ ფეხბურთელს მოსთხოვა 11-მეტრიანების შესრულება.

ლოკომოტიველები მართლაც სერიოზულად, დიდი მონდომებით ემზადებიან „სლოვანთან“ საპასუხო მატჩისთვის — მოლაზღანდარე სახეების არდანახვაც ხომ დღეს გულს გეფონება, თუმცა, ვის როგორ...

დავით თაგარიძე



„ლოკომოტივის“ ლიდერი კახა გოგიჩაიშვილი

საქართველოს ჩემპიონატი 1 ტური

ტურის სტატისტიკა

Table with 2 columns: Category and Value. Includes statistics for goals, cards, and fouls.

Table with 2 columns: Team and Goals. Lists goals scored by various teams.

Table with 2 columns: Team and Goals. Lists goals scored by specific players.

Table with 2 columns: Team and Goals. Lists goals scored by specific players.

Table with 2 columns: Team and Goals. Lists goals scored by specific players.

Table with 2 columns: Team and Goals. Lists goals scored by specific players.

Table with 2 columns: Team and Goals. Lists goals scored by specific players.

Table with 2 columns: Team and Goals. Lists goals scored by specific players.

Table with 2 columns: Team and Goals. Lists goals scored by specific players.



„დინამოს“ ვეტერანი თავდასხმელის, კახა გოგოლაძის ნახტომი სტუდენტთა საჯარიმოში პენალტის მოსაპოვებლად

Match report for Dinamo vs. Gogoladze, including team logos and match details.

Match report for Tbilisi vs. Dnipro, including team logos and match details.

Match report for Georgia vs. Georgia, including team logos and match details.

Match report for Georgia vs. Georgia, including team logos and match details.

Match report for Georgia vs. Georgia, including team logos and match details.

Match report for Georgia vs. Georgia, including team logos and match details.



თსუს მეკარე კონსტანტინე (№12) გულუნაგა გოგოლაძე უწყვეტდომოდ თამაშობდა

Table with 2 columns: Team and Goals. Lists goals scored by specific players.

Table with 2 columns: Team and Goals. Lists goals scored by specific players.

საწყალო, საწყალო, ლუქსემბურგო

მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ბრაზილიელთა უხეირო თამაშმა მათ მწვრთნელს მრავალი თავსატეხე გაუჩინა. მათ შორის ერთი, ცოტა არ იყოს, უცნაურად ჟღერს, რა ქნას ლუქსემბურგომ მიატოვოს ... ოლიმპიური ნაკრები?

საქმის არსი ასეთია, ვანდერლემი ლუქსემბურგო ეროვნულ ნაკრებსაც წვრთნის და ოლიმპიურსაც. ბრაზილიელი ოლიმპიელები სიდნეიში 28 აგვისტოს მიემგზავრებიან, სადაც 15 სექტემბერს ოლიმპიური თამაშები იწყება. თუ ლუქსემბურგო ავსტრალიას მიაშურებს, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის გამოტოვება მოუწევს, რომელშიც ბრაზილიის ეროვნული ნაკრები „მარაკანაზე“ ბოლივიას უმასპინძლებს.

რა ქნას საწყალო მწვრთნელმა? ნაკრები ასეთ ცუდ დღეში რომ არ ყოფილიყო (შვიდ შეხვედრაში სამი მოგება, ორი ფრე და ორი წაგება), ბოლივიასთან მატჩის გამოტოვება და გუნდის თანაშემწეებისთვის გადაბარება პრობლემა არ იქნებოდა. მით უმეტეს, ბოლივიის ნაკრები სამხრეთ ამერიკაში ერთ-ერთი ყველაზე სუსტია. მაგრამ ლუქსემბურგო ბოლო სამ შეხვედრაში ნაწინევი ორ მარცხს ვერსად გაქცევა და ასეთ ფაზა სიდნეიში წასვლა დალატა იქნება, ამბობენ ბრაზილიელები. მეორე მხრივ როგორი საქმეა, ივდუ „მარაკანაზე“ სათაღარიგოთა სკამზე და მთელი 90 წუთი ისმინდე, როგორ სკანდირებენ ტრიბუნები: „იდიოტო, იდიოტო, იდიოტო“.

მოსალოდნელია, რომ ვანდერლემი ლუქსემბურგო ოლიმპიური ნაკრებს მაინც შეეღებ, თუმცა ისიც სათქმელია, რომ ის ამჟამად გადარჩა — ბრაზილიის ნაკრებიც ორი თამაში წააგო, მას კი გადაყენებას არ უპირებენ.

12 თავდასხმული, არც ერთი გოლი

ვანდერლემი ლუქსემბურგოს სხვა პრობლემაც აქვს. რეალდო და რობერტო კარლოსი საუკეთესო ფორმაში არ არიან. თუმცა ამ ფეხბურთელებს იმხელა წონა აქვთ, მათ სათადარიგოთა სკამზე დასმას მწვრთნელი ვერ გაუგებდა. ესეც რომ არა, ვინ უნდა შეცვალოს რივალდო? მთავარი კი ნაკრებში მეგობლის არყოფაა. უცნაურია, არა? ამას ბრაზილიის ნაკრებზე ვაძობთ, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება. ჩილესთან მატჩში რივალდომ ბლომად საგოლე მომენტებს გამოიყენა, ვერ გამოიყენა. საერთოდ კი რონალდოს დამტკიცების მერე ვანდერლემი ლუქსემბურგომ შვიდ შესარჩევ მატჩში თორმეტი ფორვარდი გამოსცადა და მათ ვერცერთი გოლი ვერ გაიტანეს.

ვანდერლემი ლუქსემბურგოს ერთი ვარიანტიც დარჩა, ნაკრებში რომა-

ეს უცნაური ბრაზილიელი ლუქსემბურგო გადაარჩა, რომარიო უინ დარჩა, რონალდო კვდება, ჩემპიონატი არ ტარდება



რომარიო, ვანდერლემი ლუქსემბურგო და რონალდო... ყველას თავისი აქვს საფიქრალი

რიო დააბრუნა. ეგებ ვეტრანმა ვარსკვლავმა შეძლოს და ბრაზილია სირცხვილისგან იხსნას. მან ეს ერთხელ უკვე გააკეთა. 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ბრაზილიის ნაკრებმა უხეიროდ ითამაშა და ამერიკაში წასასვლელად ბოლო შანსი ჰქონდა — ბოლო ტურში ურუგვაისთან არ უნდა წაეგო. მაშინ დასახმარებლად რომარიოს უხმეს, რომელიც იქამდე ულისციკლიონობისთვის ნაკრებიდან გაგდებული ჰყავდა. რომარიო მინდორზე გავიდა და ორი გოლი გაიტანა, მერე ბრაზილიამ მსოფლიოს ჩემპიონობაც მოიპოვა.

დაბრუნდა. ეგებ ვეტრანმა ვარსკვლავმა შეძლოს და ბრაზილია სირცხვილისგან იხსნას. მან ეს ერთხელ უკვე გააკეთა. 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ბრაზილიის ნაკრებმა უხეიროდ ითამაშა და ამერიკაში წასასვლელად ბოლო შანსი ჰქონდა — ბოლო ტურში ურუგვაისთან არ უნდა წაეგო. მაშინ დასახმარებლად რომარიოს უხმეს, რომელიც იქამდე ულისციკლიონობისთვის ნაკრებიდან გაგდებული ჰყავდა. რომარიო მინდორზე გავიდა და ორი გოლი გაიტანა, მერე ბრაზილიამ მსოფლიოს ჩემპიონობაც მოიპოვა.

რომარიო მაინც უმეგობრობდა

თითქოს რაღაც უნდა უნდოდეს რომარიოს? ნაკრებში გამოიძახეს, მხსნელად მიიწვიეს, თან მისი იმედი აქვს მწვრთნელს, რომელსაც ის ადრე მოძულეებული ჰყავდა. მაგრამ არა. რომარიო მაინც ჭირვეულობს, ბოლივიასთან თამაშს ოლიმპიადზე გამგზავრება მირჩევიანო. შემთხვევით, რომ მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლში ოლიმპიადის ტურნირს ემთხვევა, რის გამოც რომარიო ორივე თამაშს ვერ შეძლებს. „1988 წელს სეულში ვითამაშე — ამბობს რომარიო — მაშინ ოლიმპიურ ოქროს ვერ შეიწვევდით (მაშინ ფინალში ბრაზილია საბჭოთა კავშირის ნაკრებთან დამარცხდა, რომლის კაპიტანი გელა კეტაშვილი იყო). ის ერთადერთი შემთხვევა გახლდათ, როცა ნაკრების შემადგენლობაში ტურნირის მოგება ვერ შეუძელი. ამიტომაც ძალიან მინდა, ახლა მაინც გავხდეთ ოლიმპიური ჩემ-

პიონი. ერთხელაც ვთხოვე ლუქსემბურგოს, რომ ოლიმპიურ გუნდში ჩამრიოს და დავამტკიცებ, რომ ბრაზილიას შეუძლია ოლიმპიადის მოგება.“ საოცარია, მაგრამ მსოფლიოს ყველაზე ტიტულიანი ნაკრები ოლიმპიური ჩემპიონი არასდროს გამხდარა. აქვე ვანდერლემი რომ ვანდერლემი ლუქსემბურგო სიდნეიში ალბათ არ გაემგზავრება (რაც უკვე ვისაუბრეთ), მაგრამ შემადგენლობის არჩევა მისი საქმეა. და ერთი განმარტებაც, მართალია, ოლიმპიური ნაკრებში 23-წლამდე ასაკის ფეხბურთელები თამაშობენ, მაგრამ რამდენიმე ასაკგადაცილებული მოთამაშის ყოფა ნებადართულია.

დავუმატოთ, რომ დღეისთვის 34 წლის რომარიო საუკეთესო სპორტულ ფორმაშია. ფოლო აველანის ტურნირზე გამართულ ექვს მატჩში ვეტრანმა ვარსკვლავმა უკვე ხუთი გოლი გაიტანა, რამაც მის „უაკუს და გამას“ შესაძლებელი ახატა კლბების საშუალება მისცა.

თავად ფოლო აველანის თანხმებით თამაშება წლებს ბრაზილიის ჩემპიონატის ნაცვლად იმართება. იქაურმა ფეხბურთის ფედერაციამ დასამყვებად მიიჩნია, რაკი სახელგანთქანა შემამულებს უნდა მიაგოს პატივი, ეროვნული ჩემპიონატი არ ჩაატაროს. ტურნირის რეგლამენტი კი ასეთია, მასში 25 გუნდი მონაწილეობს, რომელთაგან 12 საუკეთესო მერვედფინალში გავა. სადაც მათ მეორე დღე ხიონის სამი პრიზიორი და შესაძლებელი დივიზიონის გამარჯვებული დაემატებათ.

ფეხბურთმა რონალდო დააბრუნა?

შემთხვევით, რომალდო კვდება. ცუდი აზრების გასაფანტად ახლავე ვთქვით, რომ მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება, უბრალოდ, რონალდო, როგორც ფეხბურთელი, მართლაც კვდება. ასეთი რამ ბრაზილიელების პირადმა ექიმმა ვერარ სეიანმა განაცხადა: „ზუსტად შემიძლია თქმა, რომ რონალდო 2001 წლის იანვრამდე ბურთს საერთოდ ვერ გაეკარება. რა იქნება მერე, არავინ იცის, ზუსტი პროგნოზის გაკეთება შეუძლია. არ არის გამართლებული, რომ მას ფეხბურთიდან წასვლა საბოლოოდ მოუხდეს ან თუ ითამაშებს, ძალიან სუსტად.“

მაგრამ პროფესორი სეიანი იმედის გადაწურვასაც არ გვირჩევს, არის შანსი, რომ რონალდომ ფორმად ბოლომდე აღიდგინოს. დიდი სურვილის მიუხედავად, პირველი ვარიანტი უფრო რეალურად ჩანს. „ინტერის“ ექიმებიც ამბობენ, ფეხბურთელის გამოჯანმრთლების იმედი კარგა ხანს არ უნდა გვეკლენდეს.

აი, ასეა ბრაზილიის და ბრაზილიელთა საქმე.

გიორგი ღარჯანიანი

რეალური ვალეზს ერთ დღეში გაისტუმრებს



ხოსე მარტინეს პირი

მადრიდის „რეალის“ პრეზიდენტმა ფლორენციო პერესმა თავისი წინასაარჩევო დაპირებებიდან ერთი უკვე ასრულა — „პარსელონიდან“ ლუიშ ფიგუ გადამოყვანა. ჯერო მეორეცა — ის უზარმაზარი ვალი უნდა გაისტუმროს, რომელიც მას მეგობრულად თუ ირგო და ახალი ფეხბურთელებს შეეძინოთ „კოტა“ თვითონაც წაუშაბა. პერესმა ვალის გასტუმრების გზა, რომელიც დაახლოებით სამას მილიონ დოლარს უტოლდება, უცბათ გამოიჩინა, თან ისე, რომ ფაქტობრივად ხელის განძრევაც არ სჭირდება. რამდენიმე დღის წინ კლუბის პრეზიდენტმა მადრიდის მუნიციპა-

ლიტეტს „რეალის“ კუთვნილი სპორტული კომპლექსის ყიდვა შესთავაზა. კომპლექსი კი 330 მილიონი დოლარი ღირს. რა გამოდის? ვალეზსაც სრულად გაისტუმრებენ და ახალი კომპლექსის მშენებლობის დაწყებისთვისაც რამდენიმე ათეული მილიონი დარჩებათ.

უნდა ითქვას, რომ ეს იდეა ფლორენცინო პერესს ახლა არ მოსვლია. ჯერ კიდევ წინასაარჩევო კამპანიის დროს პრეზიდენტობის მამძიებელი ამბობდა, გიგანტური ვალეზის გასასტუმრებლად სამეფო კლუბს სხვა ვარიანტი არა აქვს. სხვა გზა მართლაც არ ჩანს, თუმცა ფლორენცინო პერესს ლორენსო სანსისგან მაშინ გვარიანი კრიტიკა დაატყდა თავს.

სექტემბერს „რეალის“ აქციონერთა კრებასპორტული კომპლექსის ბედიც საბოლოოდ მაშინ გადაწყდება. თუ ფლორენცინო პერესი გაყიდვაზე თანხმობას მიიღებს, დაუფიქრებელი შეუდგება მოლაპარაკებებს დედაქალაქის მმართველობასთან. როგორც ესპანური პრესა იუწყება, მადრიდის მერი ხოსე მარია ალვარეს დელ მანსანო გარიგებაზე ყაბულსაა.

ვალეზთან დაკავშირებით ერთი ფაქტიც ამოტივტივდა. თურმე „რეალს“ ის 35 მილიონი დოლარი, რომელიც „არსენალიდან“ ნიკოლა ანელა გადამოყვანა, ჯერ გადახდილი არ ჰქონია და ეს თანხაც კლუბის ახალ მმართველობას დააწვა მხრებზე არადა, ანელკამ უკვე „რეალიდან“ წასვლა მოასწრო.

ანელკას გადაუხდელი ღირებულების გარდა ესპანურმა გაზეთებმა სხვა რამაც აღმოაჩინეს,

კერძოდ, კლუბის გენერალური დირექტორის ხოსე მარტინეს პირის მიერ კარგა ხნის წინ შედგენილი სპეციალური დოსიე, რომელშიც იგი ასახულებს, რომ ფერნანდო რედონდო და სტივ მაკმანამანი „ხელშეუხებელი“ ფეხბურთელები არიან და მათი გაყიდვა დაუშვებელია. სამაგიეროდ, პირი საჭიროდ მიიჩნევს ალბანო ბიზარის, კრისტიან კარამბუს, ალბერტ სელადესის, ხოსე მარია გუტიეს, აიტორ კარანკას და ფერნანდო მორიენტის გაშვებას.

ცხადია, ფლორენცინო პერესი და ვისენტე დელ ბოსკე აღნიშნულ დოსიეს კარგად იცნობენ, მაგრამ უკვე ვიცით, რომ დირექტორის ზოგიერთ მოსაზრებას არ დაეთანხმენ. მათ უკვე გაყიდეს რედონდო და იგივეს უპირებენ მაკმანამანსაც, თუმცა პირის რჩევისამებრ გამოეთხოვნენ კრისტიან კარამბუსს.

უცნაურია პირისეულ გასაყიდვითა სიაში ფერნანდო მორიენტის ვეარის ხილვა. პირი ამას შემდგენლობის ხსენს: „მორიენტისი“ „რეალისთვის“ ძალიან მნიშვნელოვანი ფეხბურთელია, მაგრამ ის შეუცვლელი არ არის.“

საინტერესოა, პირის მოსაზრება ნიკოლა ანელკას თაობაზეც: „ბუნებამ ის უზარმაზარი ნიჭით დააჯილდოვა, მაგრამ შრომა არ უყვარს. ამასთანავე ანელკას ძალიან ცუდი ურთიერთობა აქვს თანაგუნდელებთან და მათ მხარდამხარ თამაში გაუჭირდება. კარგი იქნება, თუ მას სასწრაფოდ გაეყიდი.“

ფლორენცინო პერესი ხოსე პირის ამ მოსაზრებასაც დაეთანხმა. „რეალის“ კომპაგები წუხან, ნეტავ, რედონდოს შეუცვლელიობასაც დათანხმდობოდ.“

გიორგი ღარჯანიანი

ფეხბურთის სუპერკოპი
უინალი. 25 აგვისტო
რეალი (მადრიდი, მსახიობი) — ბალთაშარაი (სტამბოლი, თურქეთი)
რეალი:
მეკარეები: ბოდო ილგენერი, სესარ სანჩესი, იკერ კასილიასი;
მცველები: მიჩელ სალგადო, რობერტო კარლოსი, ფერნანდო იერო, მანუელ სანჩისი, ივან კამპო, აიტორ კარანკა, ჯერემი ნჯიტაბი, ჟულიო სეზარი;
ნახევარმცველები: ალბერტ სელადესი, ხოსე მარია გუტი, ალბერტო რივერა, სავიო ბორტოლინი, სტივ მაკმანამანი, ივან ელგერა, კლოდ მაკელეფე, ფლავიო კონსეისაო, ლუიშ ფიგუ;
თავდამხმებლები: რაულ გონსალესი, ფერნანდო მორიენტისი, სანტიაგო სოლოარი, პედრო მუნიტისი, ტოტე ლოპესი
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე



სარბიელი სპორტული ლატარია



BOOKMAKERS

CROCO

კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში;
№2 ცენტრალური
ფოსტამტი აღმაშენებლის გამზირზე;
გლდანი, I სავაჭრო ცენტრი;
თემქა, მე-11 მიკრორაიონი, პირველი კვარტალი და
ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან) და წინამძღვრიშვილის 200
(ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)

ახალი ბიურო: გურამიშვილის გამზირი, 50
(მეტრო „ღრმაღელესთან“)

ქუთაისში — პუშკინის ქუჩა №16, ტელერადიოკომპანია
„ივერიონის“ შენობაში.

ბათუმში — ლუკა ასათიანის (ყოფილი ჯაფარიძის) ქუჩა №67,
II სართული.

ბორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი.

თელავში — კოსტავას ქუჩა №23.

რუსთაველი სახელობა ავუსის უმჯობეს კვლავ მუშაობს „კროკოს“

განახლებული ბიურო. მისამართი: შარტავას 7.

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები
ადგილზე დააზუსტეთ

ინგლისი. პრემიერლიგა. მე-2 ტური
23 აგვისტო

004	ასტონ ვილა-ლიდსი	2,3	2,9	3,0
005	ვევრტონი-ჩარლტონი	1,5	3,5	6,0
006	სიტი-სანდერლენდი	2,2	3,0	3,3
007	ნიუკასლი-დერბი	1,6	3,4	5,0
008	საუთჰემპტონი-ქოვენტრი	1,9	3,0	3,8
009	ვესტ ჰემი-ლესტერი	1,65	3,2	5,0

პოლანდია. გადადებული მატჩები
23 აგვისტო

012	გრონინგენი-ნაიმეგენი	2,0	3,0	3,5
-----	----------------------	-----	-----	-----

ბელგია. II დივიზიონი. 1-ლი ტური
23 აგვისტო

013	ტურნაუტი-გეკელი	2,4	3,0	2,7
014	ლიეჟი-მონსი	1,75	3,2	4,0
015	ჰეკელგემი-დენდერლუუ	2,1	3,0	3,3
016	დესელ-ოსტენდე	2,4	3,0	2,7
017	მოდენბეკი-სტრომბეკი	1,3	4,4	8,0
018	მოდენბეკი-სტრომბეკი 0:1	1,8	3,3	2,8
019	მაასლანდი-ინგელმუნსტერი	2,0	3,0	3,5
020	დაინცკ-სერკლ ბრიუგე	2,4	3,0	2,7
021	ლომელი-რუსელარე	1,4	4,0	6,5
022	ლომელი-რუსელარე 0:1	1,9	3,4	2,4
023	ჰეუსდენი-ტინენი	2,1	3,2	3,1

ინგლისი. ლიგის თასი. I ეტაპი. I მატჩები
23 აგვისტო

030	კოლნესტერი-ქუინზ პარკი	3,3	3,2	2,0
032	კრისტალ პალასი-კარდიფი	1,4	4,0	6,5
043	პლიმუთი-როვერსი	2,9	3,0	2,3

ჩემპიონთა ლიგა. III ეტაპი. II მატჩები
23 აგვისტო

505	სპარტა (ჩეხეთი)-ზიმბრუ (მოლდოვა) 1:0	1,2	5,6	10,0
506	ლოკომოტივი (რუსეთი)-ბეშიქთაში (თურქეთი) 0:3	1,9	3,0	3,8
507	ფეიენორდი (პოლანდია)-შტურმი (ავსტრია) 1:2	1,45	3,6	6,5
508	პანათინაიკოსი (საბურძნეთი)-პოლონია (პოლონეთი) 2:2	1,5	3,5	6,0
509	ლიონი (საფრანგეთი)-ინტერი (სლოვაკეთი) 2:1	1,25	5,0	9,0
510	ტრვენა ზვეზდა (იუგოსლავია)-დინამო (უკრაინა) 0:0	2,4	2,9	2,8
511	მიუნხენ 1860 (გერმანია)-ლიდსი (ინგლისი) 1:2	2,2	2,9	3,0
512	რეინჯერსი (შოტლანდია)-ჰერფოლდე (დანია) 3:0	1,2	5,6	10,0
513	რუსენბორგი (ნორვეგია)-დუნაჯერი (უნგრეთი) 2:2	1,35	4,0	7,5
514	ინტერი (იტალია)-ჰელსინგბორგი (შვედეთი) 0:1	1,2	5,6	10,0
515	ვალენსია (ესპანეთი)-ტიროლი (ავსტრია) 0:0	1,25	5,0	9,0
516	პორტუ (პორტუგალია)-ანდერლექტი (ბელგია) 0:1	1,75	3,0	4,4

უეფას თასი. I ეტაპი. II მატჩები
23 აგვისტო

517	ფლორა (ესტონეთი)-ბრიუგე (ბელგია) 1:4	5,3	3,3	1,6
24 აგვისტო				
518	აშტარაკი (სომხეთი)-რაპიდი (რუმინეთი) 0:3	3,5	3,2	1,9
519	ლოკომოტივი (საქართველო)-სლოვანი (სლოვაკეთი)	ანგარიში	-	5,0
520	გორიცა (სლოვენია)-ნეფთი (აზერბაიჯანი) 0:1	1,25	5,0	9,0
521	ბუდუნოსტი (ბოსნია)-დრნოვიცე (ჩეხეთი) 0:3	2,4	3,0	2,7
522	ვისლა (პოლონეთი)-ჟელეზნიარი (ბოსნია) 0:0	1,5	3,5	6,0
523	ტუტა (ალბანეთი)-რაპიდი (ავსტრია) 0:2	4,0	3,1	1,8
524	პოზედა (მაკედონია)-უნივერსიტატი (რუმინეთი) 1:1	2,4	3,0	2,7
525	კოშიცე (სლოვაკეთი)-არარატი (სომხეთი) 3:2	1,15	6,0	12,0
526	ცსკა (ბულგარეთი)-კონსტანტინოპოლი (მოლდოვა) 3:2	1,2	5,6	10,0
527	ბეითარი (ისრაელი)-ვიტ ჯორჯია (საქართველო)	ანგარიში	-	5,0
528	მაკაბი (პაიფა/ისრაელი)-სლავია (ბელარუსი) 1:1	1,45	3,0	7,5
529	ტულევიკი (ესტონეთი)-ნაპრედაკი (იუგოსლავია) 1:5	3,5	3,0	2,0
530	აპოელი (კვიპროსი)-ტომორი (ალბანეთი) 3:2	1,3	4,4	8,0
531	პარტიზანი (იუგოსლავია)-სლიმა (მაღტა) 1:2	1,1	7,0	15,0
532	ნეფტოხიმიკი (ბულგარეთი)-ომონია (კვიპროსი) 0:0	1,9	2,9	4,0
533	ვადუცი (ლიხტენშტაინი)-ამიცა (პოლონეთი) 0:3	7,5	4,0	1,25
534	იოკერიტი (ფინეთი)-მტკ (უნგრეთი) 0:1	2,3	3,0	2,9
535	ლიდეგტრ. (ნორვეგია)-გლენტორანი (ნორლანდია) 3:0	1,2	5,6	10,0
536	ანთალია (თურქეთი)-ქიაფაზი (აზერბაიჯანი) 2:0	1,15	6,0	12,0
537	ბრანი (ნორვეგია)-მეტაღურგსი (დატვია) 1:1	1,15	6,0	12,0
538	გომელი (ბელარუსი)-აიკ (შვედეთი) 0:1	3,6	3,1	1,9
539	კორკი (ირლანდია)-ლოზანა (შვეიცარია) 0:1	3,4	3,1	2,0
540	ნორჩიოპინგი (შვედეთი)-გოტუ (ფარერები) 1:0	1,05	9,0	18,0

გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცილოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „საბიელში“. სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დაახუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცილოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეულ შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (შეათვისდეს სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (პანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფსონების ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმონდება შეტანილი, ქვიტორის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კოკო“-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

- ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
- შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
- შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
- მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
- წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
- არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვიტარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩათვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატიანი სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გაეღწა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვიტარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვიტორის ფანქრით ან ნითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვიტარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვიტარი თვითკომპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვიტარი უნდა ჩაბარდეს „კოკო“-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვიტარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვიტარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვიტარების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კოკო“-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვიტარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღებებს იმ ქვიტარებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კოკო“-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კოკო“-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

541	პალმსტადი (შვედეთი)-ბანგორი (უელსი) 7:0	1,02	12,0	18,0
542	იორგრიტე (შვედეთი)-კოდორენი (ჩრდ.ირლანდია) 2:1	1,15	6,00	12,0
543	ბაზელი (შვეიცარია)-ფოდორი (სან მარინი) 5:1	1,01	12,0	22,0
544	რუხი (პოლონეთი)-ჟაღვირისი (ლიტვა) 1:2	1,35	4,0	7,5
545	გენტი (ბელგია)-აკრანესი (ისლანდია) 3:0	1,15	6,0	12,0
546	ოლიმპია (სლოვენია)-შერფი (მოლდოვა) 0:0	1,25	5,0	9,0
547	გრევენმახერი (დეუქსემბურგი)-ჰიკ (ფინეთი) 1:4	5,0	3,4	1,6
548	ლიერსი (ბელგია)-ეკრანასი (ლიტვა) 3:0	1,2	5,6	10,0
549	რაბოტნიკი (მაკედონია)-ვორსკლა (უკრაინა) 0:2	2,3	3,0	2,9
550	ტორსჰაგენი (ფარერები)-აკადემისკი (დანია) 0:8	6,5	4,0	1,3
551	ვალეტა (მალტა)-რიეკა (ხორვატია) 2:3	4,2	3,3	1,6
552	რაიო ვალეკანო (ესპანეთი)-კონსტელაჩიო (ანდორა) 10:0	1,01	12,0	22,0
553	ბერი (უელსი)-ბოაიშტა (პორტუგალია) 0:2	7,5	4,0	1,35
554	სელტიკი (შოტლანდია)-უენესი (დეუქსემბურგი) 4:0	1,02	12,0	18,0
555	ვაშაში (უნგრეთი)-ვენტსპილსი (ლატვია) 1:2	1,25	5,0	9,0
556	ბოჰემიანსი (ირლანდია)-აბერდინი (შოტლანდია) 2:1	3,2	3,0	2,0
557	პართსი (შოტლანდია)-გესტმანაეიარი (ისლანდია) 2:0	1,15	6,0	12,0

ეტაპზე გასვლა (მიუთითეთ მხოლოდ ის გუნდი, რომელიც გაეა შემდეგ ეტაპზე) ჩემპიონთა ლიგა. III ეტაპი. II მატჩები

23 აგვისტო	
705	სპარტა (ჩეხეთი) -1,01 ზიმბრუ (მოლდოვა) -15,0
706	ლოკომოტივი (რუს.) -7,5 ბეჟიქთაში (თურქეთი) -1,03
707	ფეიენორდი (ჰოლან.) -1,45 შტურმი (ავსტრია) -2,0
708	პანათინაიკოსი (საბ.) -1,1 პოლონია (პოლონეთი) -5,0
709	ლიონი (საფრანგეთი) -1,01 ინტერი (სლოვაკეთი) -15,0
710	ცრვენა ზვეზდა (იუგ.) -1,8 დინამო (უკრაინა) -1,6
711	მიუნხენ 1860 (გერმ.) -2,0 ლიდსი (ინგლისი) -1,5
712	რეინჯერსი (შოტლ.) — პერფორმანსი (დანია) -50,0
713	რუსენბორგი (ნორვ.) -1,1 დუნაფერი (უნგრეთი) -5,0
714	ინტერი (იტალია) -1,25 ჰელსინგბორგი (შვედ.) -2,0
715	ვალენსია (ესპანეთი) -1,1 ტიროლი (ავსტრია) -5,0
716	პორტუ (პორტუგალია) -1,85 ანდერლეხტი (ბელგია) -1,55

უეფას თასი. I ეტაპი. II მატჩები

23 აგვისტო	
717	ფლორა (ესტონეთი) -50,0 ბრიუგე (ბელგია) —
24 აგვისტო	
718	აშტარაკი (სომხეთი) -25,0 რაპიდი (რუმინეთი) —
719	ლოკომოტივი (საქარ.) — სლოვანი (სლოვაკეთი) —
720	გორიცა (სლოვენია) -1,25 ნეფთჩი (აზერბაიჯანი) -2,0
721	ბუდუჟინოსტი (ბოსნია) -10,0 დრნოვიცე (ჩეხეთი) -1,01
722	ვისლა (პოლონეთი) -1,1 უელესნიარჩი (ბოსნია) -3,5
723	ტუტუ (ალბანეთი) -10,0 რაპიდი (ავსტრია) -1,01
724	პობუდა (მაკედონია) -1,5 უნივერსიტატი (რუმ.) -1,8
725	კოშიცე (სლოვაკეთი) -1,01 არარატი (სომხეთი) -15,0
726	ცსკა (ბულგარეთი) -1,01 კონსტრუქტ. (მოლდ.) -10,0
727	ბეითარი (ისრაელი) — ვიტ ჯორჯია (საქარ.) —
728	მაკაბი (პისრაელი) -1,05 სლავია (ბელარუსი) -5,0
729	ტულევიკი (ესტონეთი) -25,0 ნაპრედაკი (იუგოსლ.) —
730	აპოელი (კვიპროსი) -1,01 ტომორი (ალბანეთი) -7,5
731	პარტიზანი (იუგოსლ.) -1,05 სლიმა (მალტა) -2,8
732	ნეფტოხიმიკი (ბულგ.) -1,3 ომონია (კვიპროსი) -2,5
733	ვადუცი (ლიხტენშტ.) -50,0 ამიცა (პოლონეთი) —
734	იოკერითი (ფინეთი) -2,5 მტკ (უნგრეთი) -1,25
735	ლილესტრ. (ნორვეგია) — გლენტორანი (ჩირლ.) -50,0
736	ანთალია (თურქეთი) — ქიფაზი (აზერბაიჯ.) -50,0
737	ბრანი (ნორვეგია) -1,05 მეტალურგსი (ლატვ.) -4,0
738	გომელი (ბელარუსი) -4,0 აიკ (შვედეთი) -1,05
739	კორკი (ირლანდია) -3,5 დოზანა (შვეიცარია) -1,1
740	ნორჩიოპინგი (შვედ.) — გორუ (ფარერები) -15,0
741	პალმსტადი (შვედეთი) — ბანგორი (უელსი) -50,0
742	იორგრიტე (შვედეთი) — კოდორენი (ჩრდ.ირლ.) -15,0
743	ბაზელი (შვეიცარია) — ფოდორი (სან მარ.) -50,0
744	რუხი (პოლონეთი) -1,2 ჟაღვირისი (ლიტვა) -2,5
745	გენტი (ბელგია) — აკრანესი (ისლანდია) -50,0
746	ოლიმპია (სლოვენია) -1,1 შერფი (მოლდოვა) -3,0
747	გრევენმახერი (დეუქს.) -25,0 ჰიკ (ფინეთი) —
748	ლიერსი (ბელგია) — ეკრანასი (ლიტვა) 50,0
749	რაბოტნიკი (მაკედ.) -4,0 ვორსკლა (უკრაინა) -1,05
750	ტორსჰაგენი (ფარერ.) -50,0 აკადემისკი (დანია) —
751	ვალეტა (მალტა) -3,0 რიეკა (ხორვატია) -1,1
752	რაიო ვალეკანო (ესპ.) — კონსტელაჩიო (ანდ.) 50,0
753	ბერი (უელსი) -10,0 ბოაიშტა (პორტუგ.) -1,01
754	სელტიკი (შოტლანდ.) — უენესი (დეუქსემბურგი) -50,0
755	ვაშაში (უნგრეთი) -1,15 ვენტსპილსი (ლატვია) -2,5
756	ბოჰემიანსი (ირლანდ.) -1,2 აბერდინი (შოტლანდ.) -2,3
757	პართსი (შოტლანდია) — ვესტმანაეიარი (ისლ.) -15,0



სტეფანია ლებრონიტი?

დიდი გაცვლის პროექტი. ქართული ცამებიდან ერთია

პატრიკ იუნიკის სურვილი, დაცვლებინა „ნიუ იორკ ნიქსი“, მორიგი დიდი გარიგების წინაპირობა გახდა. შეგახსენებთ, რომ ორიოდ დღის წინ იუნიკმა კლუბის ხელმძღვანელებს წარუდგინა თავისთვის სასურველი რვა გუნდის სია და რომელიმე მათგანში გაცვლა ან გაყიდვა მოითხოვა. „ნიუ იორკმა“ „სიეტლ სუპერსონიქსთან“ დაიწყო მოლაპარაკება და იუნიკის ვინ ბუიკერში გაცვლას შეეცადა. პირდაპირი ვაჭრობა არ გამოვიდა, სამაგიეროდ მოლაპარაკებაში კიდევ ორი გუნდი — „ლოს ანჯელეს ლეიქერსი“ და „დეტროიტ პისტონსი“ ჩაერთო და გრანდიოზული გარიგების პროექტიც შედგა. თუ ვაჭრობა მოხდა, იგი ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ისტორიაში უდიდესი იქნება — მასში ოთხი გუნდის ცამები კალათბურთელი მიიღებს მონაწილეობას.



ამ ცამეტი ერთ-ერთი „სიეტლ სუპერსონიქსის“ ქართველი ცენტრი ვლადიმერ სტეფანიაა. თუკი მხარეები შეთანხმდებიან, ვლადიმერი სამ თანაგუნდელონ ერთად დატოვებს „სიეტლს“ და „დეტროიტ პისტონსში“ გადაბარდება. ეს პროექტია, რომელიც ვერ არ დამტკიცებულა, მაგრამ ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში წინასწარ დაგეგმილი გარიგების პირობები, როგორც წესი, აღარ იცვლება ხოლმე ამდენად, სტეფანიას „დეტროიტში“ გადასვლაც დღე-ღამეზე უნდა ველოლოთ.

ვლადიმერ სტეფანია, ვერნონ მაქსველის, ლაზარო ბორლის და გრეგ ფოსტერის „დეტროიტში“ გაშვება „სუპერსონიქსს“ ჯამური ხელგასის ფონდში თანხის გამოსათვისუვლებლად სჭირდება. ელემენტარული არითმეტიკის ამბავია: გუნდიდან მიღის ვინ ბუიკერი, რომელსაც მომავალ სეზონში 11 მილიონი დოლარი უნდა მიეღოს. მის ნაცვლად მიღის პატრიკ იუნიკი, რომლის შენახვაც კლუბს 14 მილიონი დოლარი დაუჯდება. „სიეტლს“ სერიოზულად გადაუწყვეტია „კლიპერსის“ ფორვარდის მორის ტეილორის გადმოყვანა. მისი წლიური ხელფასი კი 2 მილიონი დოლარი უნდა იყოს. რა გამოვიდა? ის, რომ „სიეტლს“ შარშანდელთან შედარებით ხელფასზე ხუთი მილიონით მეტის გაცემა მოუწევს. ეს კი არ შეიძლება, რადგან ლიგის მკაცრად აქვს დადგენილი კლუბებისთვის ჯამური ხელფასის ზედა ზღვარი. რაღა გზა რჩებოდა „სუპერსონიქსს“? — შეაგროვა ის მოთამაშეები, რომელთა ხელფასების ჯამი ხუთი მილიონი და სხვა გუნდში, კერძოდ კი „დეტროიტში“ გაშვება დაუბორობდა.

ალბათ დროა, ამ გარიგების მონაწილეებს გადავხედოთ და ვნახოთ, რომელმა გუნდმა რომელი მოთამაშეები შეიძლება მიიღოს.

ნიუ იორკ ნიქსი: გლენ რაისი (ლეიკერსიდან), ტრევის ნაითი (ლეიკერსიდან), ვინ ბუიკერი (სიეტლიდან). **ლოს ანჯელეს ლეიქერსი:** კრის დალი (ნიუ იორკიდან), კრისტან ლეიტენერი (დეტროიტიდან). **სიეტლ სუპერსონიქსი:** პატრიკ იუნიკი (ნიუ იორკიდან). **დეტროიტ პისტონსი:** ვლადიმერ სტეფანია, ვერნონ მაქსველი, ლაზარო ბორელი, გრეგ ფოსტერი (ცვლასიეტლიდან), დევიდ ვინგეიტი (ნიუ იორკიდან), ჯონ კლეუსტერი, ტაირონ ლიუ (ორივე ლეიკერსიდან).

გარიგება ვერ არ შედგარა და, ამდენად, მის შედეგებზე ლაპარაკი ნაადრევია. თუმცა, რამდენიმე რამის შემჩნევა ახლაც შეიძლება. თუკი ვაჭრობა მოიწვება: „სიეტლს“ პირველად კარგა ხნის მანძილზე ეყოლება უმაღლესი დონის ცენტრი. „ლეიკერსი“ ამჯერადაც მოგებული დარჩება, რადგან თავისუფალი აგენტის გლენ რაისის და ორი უსახური მოთამაშის სანაცვლოდ მიიღებს ძლიერ თავდამსხმელს (ლეიტენერს), რომელსაც სასტარტო ხუთეულშიც არ გაუჭირდება მოხვედრა და რივიან ცენტრს (დალის), რომელიც ამოსუნთქვის საშუალებას მისცემს შაკილ ონილს.



გარიგების მოთავარი პერსონაჟებია პატრიკ იუნიკი და ვინ ბუიკერი



გამგზავრება ვლადიმერ სტეფანია დეტროიტში?

„ნიუ იორკი“ ძლიერი ცენტრის გარეშე დარჩება, სამაგიეროდ ლიგაში ერთ-ერთი უძლიერესი ფორვარდები ეყოლება. „დეტროიტში“ დაკარგავს ერთ ვარსკვლავს და სამაგიეროდ მიიღებს სამ ვეტერანს და ოთხ პერსპექტიულ მოთამაშეს.

შეამწეველი, დეტროიტ პისტონსი შეიძლება ყველაზე ნაკლებსაზარბიერო მდგომარეობაში აღმოჩნდეს. კლუბის ხელმძღვანელობა თავადაც შესანიშნავად ხვდება ამას და გარიგებაზე საბოლოო დასტურს ვერ არ იძლევა. ამბობენ, ამ ვაჭრობას ერთადერთი რამ თუ ჩაშლის — „დეტროიტის“ უარყოფა.

ავროპული ანგაზი

რუსეთი

კარასიოვიის ორმაგი თამაში

რუსეთის ნაკრების და მოსკოვის ცსკა-ს გამოამაშებელ ვასილი კარასიოვის სეზონის ბოლოს კონტრაქტი დაუმთავრდა. თავისუფალ აგენტად ქვეულმა კალათბურთელმა აღარ მოისურვა არმიულ კლუბში დარჩენა და საზღვარგარეთ წასვლა გადაწყვიტა. ცსკა-ს ხელმძღვანელებმა არაერთხელ შესთავაზეს კარასიოვის კონტრაქტის განახლება, მაგრამ გადაწყვეტილება ვერ შეაცვლევინეს. არც ახალი მწვრთნელის, ვასილის ყოფილი თანაგუნდელის, ვალერი ტინხოვინკის სიტყვამ გაჭრა.

აქამდე კარასიოვის ტრანსფერის შესახებ არაფერი იხმოდა. დადგა ეს კვირა

და საბერძნეთიდან და თურქეთიდან ორი ერთმანეთის გამოირიცხავი ამბავი მოვიდა. ბერძნული ინფორმაციით, კარასიოვის უკვე შეთანხმებული აქვს კონტრაქტის პირობები სალონიკის „ირაკლისთან“ და რამდენიმე უმნიშვნელო დეტალიდან დასაზუსტებელი. „ირაკლისი“ მომავალ სეზონში სუპროლიგაში ითამაშებს და რუსი გამოამაშებელი ამითაც მოხიბლულა.

იმავე დღეს თურქეთიდან გავრცელდა ცნობა, რომ სტამბოლის „ფენერბაჩქემ“ დაითანხმდა კონტრაქტზე ვასილი კარასიოვი. კლუბის გენერალურ მენეჯერს უქმეებზე ფაქსით გაუგზავნა

ნია რუსეთის კონტრაქტის ასლი, ხოლო გუნდს დადებითი პასუხი მიუღია. ამბობენ, კარასიოვი დღეს თურქეთში ჩავა და ხელშეკრულებას ოფიციალურად გააფორმებს. „ფენერბაჩქემს“ აგრეთვე სურს ამერიკელი ცენტრის, ტანოკა ბერდის დასაკუთრება. ეს კალათბურთელი შარშან ესპანეთში, ვალენსიის „პასუსაში“ ითამაშობდა. სტამბოლელიები მომავალ სეზონში კორაჩის თასზე ითამაშებენ.

28 წლის და 194-სანტიმეტრიანი კარასიოვი სანკეტ-პეტერბურგში დაიბადა და კალათბურთის თამაშში იქვე დაიწყო. შემდეგ იგი მოსკოვის ცსკა-ში გადავიდა. რამდენიმე სეზონი სტამბოლის „ფენესი“ და ბერლინის „ალბაში“ ითამაშა, მერე კი ცსკა-ს დაუბრუნდა. კარასიოვი რუსეთის ნაკრების უცვლელი წევრი და ძირითადი გამოამაშებელია. წესით, იგი ოლიმპიადაზეც უნდა გამგზავრებულიყო, მაგრამ თავად იურა — ტრაგედიი არ მომიშურებია და სიდნეისთვის ფორმაში შესვლას ვეღარ მოვასწვრები.

საბერძნეთი

ახალი სეზონი, ძველი ანგაზი, უეთხელაგული შიდაგუნდობა

გუზინ ვეროლივის და საბერძნეთის ჩემპიონმა ათენის „პანათინაიკოსმა“ ახალი სეზონისთვის დაიწყო შხადება. დათქმულ დროზე გუნდი ათენის ოლიმპიურ სტადიონზე შეიკრიბა და ივარჯიშა „პანათინაიკოსის“ რიგები შეთხედებული იყო, რადგან მოთამაშეთა ერთი ჯგუფი თავთავიანთი ქვეყნების ნაკრებების შემადგენლობაში ან სიდნეის ოლიმპიადისთვის ემზადება, ან სავრთაშიონისო ტურნირებში მონაწილეობს. ვარჯიშში „პანათინაიკოსის“ მწვრთნელის თანამშემწე დიმიტრის იტუღისი უძღვებოდა. თავად მწვრთნელი, იუგოსლავიელი ჟულო ობრადოვიჩი ამჟამად იტალიაში და მშობლიური ქვეყნის ნაკრებს ოლიმპიადისთვის ამზადებს. იქვე არიან „პანათინაიკოსის“ იუგოსლავიელები — ცენტრი ჟულო რებრანა და უკანასაზული ლიან ბოლიროვა. ირლანდიაში დაბადებული, ამერიკაში გახრილი-დავაცაცებული და ესპანეთისპასპორტანი ჯონი როჯერსიც წინასაოლიმპიადო შეკრებაზეა. ესპანეთის ნაკრების მწვრთნელმა ლოლო სანსმა იგი სასიდნო შემადგენლობაში შეიყვანა. გიორგოს კალაიძის კი საბერძნეთის ნაკრებს არგენტინაში ახლდა.

„პანათინაიკოსმა“ თითქმის შეინარჩუნა შარშანდელი შემადგენლობა. ძველებიდან გუნდის პირველ ვარჯიშში დაესწრნენ კაბიტანი ფრავისკოს ალევრტისი, მისაელ კოხი, ნანელ ვეინტილი, პატ ბერკი, ანტონის ფოცისი და ოლედი კატაში. ივარჯიშზე ახალგაზრდებზე — ლინიადაკისმა და ვულგარისმა, აგრეთვე ჭაბუკებმა — იანეტაკოსმა, როდოსტოლდუმ და პაპაიოსიფმა.

„პანათინაიკოსმა“ სეზონთაშიონის პერიოდში ორი კალათბურთელი შეიძინა — ექსპოკელი გიორგი ბალიანისი და ესპანეთის ლიგაში მოთამაშე, ამერიკელი ლერილ მიდლტონი. ნავარჯიშზე ბალიანისმა აღნიშნა: „ამ გუნდში მოსვლით ახალი ცხოვრება დავიწყებ. მეც და „პანათინაიკოსსაც“ ერთი და იგივე გვესურს — ტიტულების მოხვეჭა“.

მიხაილოვი პრიოვიის აზრებს

რუსეთის ნაკრების და მადრიდის „რეალის“ ცენტრმა მიხაილ მიხაილოვმა გაზავრებულზე განაცხადა, რომ საბერძნეთის თამაშებზე იროვნულ გუნდში და სიდნეის ოლიმპიადისთვისაც მოემზადებოდა ნაკრების მწვრთნელ სტანისლავ ერიოშინს გაუხარდა — მიხაილოვი დღისთვის რუსეთის უძლიერესი ცენტრია და საოლიმპიადოდ ძალიან გამოავადება. თუმცა, მწვრთნელის სიხარული მეტად ხანმოკლე გამოდგა. რუსეთის ნაკრებმა უკვე მიიღია ორი შეკრება და ერთი ტურნირი, მაგრამ მიხაილოვი არსად გამოჩენილა. ერიოშინი, ჩანს, გაბრაზდა შვიდრიდის ამგვარი საქცილის გამო და თქვა: „რუსულ კალათბურთში არაინა იმ დონის ვარსკვლავი, რომ მუხლებში ჩაეყვარდეს და ნაკრებში გამოსვლაზე ვეხვეწო. ხშირად მეკითხებიან, რატომ არ მიღის მიხაილოვი შეკრებებზე. მე რა ვითხრათ, უშუალოდ თავად კალათბურთელს უნდა კითხოთ. მართალი ვითხრათ, მიმას აზრი ამ საქონზე მეც ძალიან მაინტერესებს“.

ერიოშინი კი არის გაბრაზებული, მაგრამ მიხაილოვის, რომელსაც რუსულ პასპორტთან ერთად ესპანურიც აქვს, ნაკრების კარს საბოლოოდ არ უკეტავს: „მიხაილოვის კიდევ აქვს გუნდში მოხვედრის შანსი, მაგრამ რაც დრო გადის, იგი სულ უფრო და უფრო მცირდება“.

თუკი მიხაილოვი სიდნეიმ თამაშს იურებს, იგი რუსეთის ნაკრებისთვის მესამე დანაკლისი გახდება. გამოამაშებელი ვასილი კარასიოვი ტრაგედიის და ფორმაში არყოფნის გამო ტოვებს ოლიმპიადას. ცენტრი ალექსეი სავრანსენკო კი რუსეთის მოქალაქეცაა და საბერძნეთისაც. მას ერთ-ერთი ნაკრები უნდა აერჩია. რუსებმა უთხრეს, ნაკრებში თუ წამოხვალ, ოლიმპიადაზე აუცილებლად გათამაშებითი. სავრანსენკომ იფიქრა და ისტორიული სამშობლოს წარმომადგენლებს უარი უთხრა — საბერძნეთის ნაკრებში მოხვედრა მიჩვენია.

ერიოშინი კი არის გაბრაზებული, მაგრამ მიხაილოვის, რომელსაც რუსულ პასპორტთან ერთად ესპანურიც აქვს, ნაკრების კარს საბოლოოდ არ უკეტავს: „მიხაილოვის კიდევ აქვს გუნდში მოხვედრის შანსი, მაგრამ რაც დრო გადის, იგი სულ უფრო და უფრო მცირდება“.

თუკი მიხაილოვი სიდნეიმ თამაშს იურებს, იგი რუსეთის ნაკრებისთვის მესამე დანაკლისი გახდება. გამოამაშებელი ვასილი კარასიოვი ტრაგედიის და ფორმაში არყოფნის გამო ტოვებს ოლიმპიადას. ცენტრი ალექსეი სავრანსენკო კი რუსეთის მოქალაქეცაა და საბერძნეთისაც. მას ერთ-ერთი ნაკრები უნდა აერჩია. რუსებმა უთხრეს, ნაკრებში თუ წამოხვალ, ოლიმპიადაზე აუცილებლად გათამაშებითი. სავრანსენკომ იფიქრა და ისტორიული სამშობლოს წარმომადგენლებს უარი უთხრა — საბერძნეთის ნაკრებში მოხვედრა მიჩვენია.

ღიას გახსნაგდე

US OPEN

აშშ-ის ღია პირველობის ოფიციალურ გახსნაგდე ვერ კიდევ 5 დღეა დარჩენილი, მაგრამ ნიუ იორკის „ფლაშინგ მელოუზზე“ უსაქმოდ ნამდვილად არ სხედან.

დავიწყით იმით, რომ გუშინ სეზონის მეოთხე დიდი სლეიმის ტურნირის ორგანიზატორებმა განთქმულია ვინაობა და თანმიმდევრობა ამცნეს საზოგადოებას. 16-16 რჩეულთა სიას სათავეში მსოფლიოს პირველი ჩოგნები, მარტინა ჰინგისი და ანდრე აგასი მეთაურობდნენ და, უმძლავრესგან განსხვავებით, ის 21 აგვისტოსთვის კლასიფიკაციაში შექმნილ ვითარებას სრულად ემთხვევა.


გარდა ამისა ორგანიზატორებმა უკვე მათი ვინაობაც გაამჟღავნეს, რომელთაც დიდი სლეიმის ტურნირზე ურიოდ მოხვედრის შესაძლებლობა, ანუ „უილდ კარდ“ ერგებათ.

ველურბარათიანთა უმეტესობა, რაღა თქმა უნდა, ახალგაზრდა ამერიკელი ჩოგბურთელები, ძირითადად კი ძლიერი სქესის 17-19 წლის წარმომადგენლები არიან, რომლებმაც უახლოეს მომავალში აგასისა და სამპრასისგან უნდა გადაიბარონ ესტაფეცა. მათ შორის მოხვდნენ ჯაბუკთა მსოფლიოს პირველი ჩოგანი ენდი როდიკი, წვრილთვალა ფილიპ კინგი, მარდი ფიში და ტეილორ დენტი.

გუშინ ღამითვე ნიუ იორკში ძირითად ბაღეში მოხვედრის მსურველთა საკვალიფიკაციო ტურნირიც დაიწყებოდა, რომელიც პრესტიჟულობით ნამდვილად არ გამოირჩევა, მაგრამ 128-128 ქალ-ვაჟისთვის მასზე არცთუ სახუმარო საპრიზო ფონდი — 1,2 მილიონი დოლარია დაწესებული.

მაყურებლებისთვის შესარჩევ ტურნირზე დასწრება უფასოა და მათ ისეთი ცნობილი ჩოგბურთელების ხილვა შეუძლებათ, 1997 წლის როლან გაროსის ჩემპიონი ივა მაიოლი, მისი ჩასუქებულ-ჩაკურატებული თანამემამულე მირიანა ლუჩინი, „გუდების“ ლეგენდარული წვეილი (ოლონდ ცალ-ცალკე) ჰარკ ვუდფორდი და ტოდ ვუდბრიჯი, ასევე ტორონტოს მასტერსის ტურნირის ფინალისტი, ებრაელი ჰარელ ლევი რომ არიან.

კვალიფიკაციაში მონაწილეობს ჩვენებური ირაკლი ლაბაძეც, რომელსაც პირველ წრეში 22 წლის, სათუო გაქანებისა და სახელის, კლასიფიკაციით 180-ე ამერიკულ მაიკლ რასელთან ელის შეგმა.



ანდრე აგასი

კაცები	ქალები
1. ანდრე აგასი	1. მარტინა ჰინგისი
2. გუსტავო კუერტენი	2. ლინდსი დევენორტი
3. მაგნუს ნორმანი	3. ვინუს უილიამსი
4. პიტ სამპრასი	4. მარი პირსი
5. ევგენი კაფელნიკოვი	5. სერენა უილიამსი
6. მარატ საფინი	6. მონიკა სელემი
7. ტომას ენკვისტი	7. კონჩიტა მარტინენსი
8. ალექს კორეჩა	8. ნატალი ტოზია
9. ლეიტონ ჰიუიტი	9. არანჩა სანჩეს ვიკარიო
10. სედრიკ პიოლინი	10. ანკე ჰუბერი
11. ტიმ ჰენმანი	11. სანდრინ ტესტიე
12. ხუან კარლოს ფერერო	12. ანა კურნიკოვა
13. ფრანკო სკილარი	13. ამაღდა კუტცერი
14. ნიკოლას კიფერი	14. დომინიკ ვან რუსტი
15. მარკ ფილიპუსისი	15. ჯენიფერ კაპრიატი
16. ნიკოლას ლაპენტი	16. ჟული ალარი

მორაემო შვებულაგაში



ამელი მორესმო

2000 წლის უკანასკნელ „მეიჯორს“ არაერთი ჩოგბურთელი ხვდება ამა თუ იმ ტრავმით, მაგრამ პირველი ნამდვილი ვარსკვლავი, ვინც საბოლოოდ გამოიცხაა ნიუ იორკში თამაში, ფრანგი ამელი მორესმოა.

21 წლის ჩოგბურთელი, ვისაც სახელი და პოპულარობა მარშან ავსტრალიის ღია პირველობის ფინალისტობამ და საკუთარი არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის შე-

სახებ სახალხოდ განცხადებამ მოუტანა, ზურგის ქვედა არეს უჩივის.

„ორი-სამი კვირას ბევრს ვვარჯიშობ სუსტი ადგილის მოსაძლიერებლად, მაგრამ მკურნალობამ ვერჯერობით შედეგი არ გამოიღო და ტკივილს ისევ ვგრძნობ. ექიმებმა მიჩიეს, დაახლოებით ერთი თვე დამეკვნა“ — განაცხადა ამ რამდენიმე დღის წინ ფრანგმა.

მორესმოს ყველაზე მეტად იმის ეშინია, ტრავმამ სიდნეის ოლიმპიადაზე თამაშში არ შეუშლის ხელი, მანამდე რომ არც ისე დიდი დრო რჩება: „ყველაფერს ვიღონებ იმისთვის, რომ ავსტრალიაში წაიდე და ქვეყნის ღირსება დავიცვა, ოლიმპიადაზე გამოსვლა ჩემი ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო წლებულს“.

მორესმოს გარდა ლაზარეთამოწერილთა, მაგრამ არა საბოლოოდ ჩამოწერილთა ნუსხა საკმაოდ გრძელია: ლინდსი დევენორტი უკვე 6 თვეა, მარჯვენა ფეხს იტკივებს, სერენა უილიამსი — მარცხენას, ფრანგ ლამაზმან მარი პირსს უიმბლდონიდან მოყოლებული მხრის ტრავმის გამო არსად უასარებაა, ჯანმრთელობას უჩივის მონიკა სელემიც.

კაცების მხარეს მდგომარეობა არც ისე საგანგაშოა: თუ ანდრე აგასის ნაგარევი და პატრიკ რაფტერის ნაგარევი ცივი მხრების ხუშტურებს გამოვიტყავთ, შავად საქმე მხოლოდ მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგან მარსელო რიოსს აქვს, რომელსაც ჩვეულად საზარდული სტკივა.

„მას შემდეგ, რაც შარშან დეკემბერში ოპერაცია გავიკეთე, საქმეები ცოტათი გამოსწორდა, თუმცა საბოლოო გამოჯანმრთელებას, ალბათ, ვერასოდეს ვეღირებ. მთელი სეზონის მანძილზე ერთადერთი კვირა იყო ისეთი, როდესაც საზარდულს თავი არ შეუხსენებია (როდესაც ივლისში რიოსმა ხორვატიის ღია პირველობაზე იმარჯვა), ისე კი ზოგჯერ ტკივილი ისეთი გაუსაძლისია, თამაშის კი არა, სიარულის სურვილს მიქრობს“.

ერთი კვირის წინ რიოსმა ინდიანაპოლისის ტურნირზე ქსავიე მალისთან მატჩის დასრულება ვერ მოახერხა და ყველაფერი ჰარდის საფარს დააბრალა, რომელიც მის სხეულს განსაკუთრებით მიძიე გამოცვლას უწყობს.

აშთაწილ სვანისძე

მქლეონობის საერთაშორისო ფედერაციის (IAAF) საანტიტრადიციო სასამართლომ მერლინ ოტისა და ხაფიერ სოტომიორის შეწყნარების შედეგად უარყოფითი განაცხადი გამოიტანა. სამმა მოსამართლემ 21 აგვისტოს მონაკოდან პარიზში გადაბრძანება იხება და სწორედ აქ ვააცხადა საბოლოო ვერდიქტი: ბრიტანელი ლინფორდ კრისტი, დავ უოლეკერი და გერი კელოგანი დომინგის ხმარების მუხლით გაასამართლეს და ორწლიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს.


პარიზში ინგლისელები გაასამართლეს ლინფორდ კრისტი სიდნეიში მაინც წავა

„სასამართლომ არასაკმარისად მიიჩნია სამეცნიერო ანგარიში — ვკითხულობთ განაცხადს — რომლის თანახმადაც სისხლში ნანდროლონის დონის დასაშვებ ზღვარზე მაღლა აწევა შეიძლება ადაბული ვარჯიშისა და საკვები დანამატების ერთობლივი ქმედების შედეგად იყოს. სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება“. დისკვალიფიკაციის ვადა საორტსმენებს იმ დღიდან ათვლებათ, როცა ამხილეს, ანუ უოლეკერს ამა წლის პირველ დეკემბერს უმთავრდება, კრისტი 2001 წლის 13 თებერვალს, კელოგანს კი ყველაზე ჩქარა, 28 ნოემბერს. ფაქტობრივად, მქლეონებს თავიანთი სასჯელის მეტი წილი უკვე მოხდელი აქვთ, მაგრამ სამიდან ორისთვის ამას უკვე არავითარი მნიშვნელობა აღარა აქვს: კრისტიმ და კელოგანმა დიდი სპორტი დატოვეს. მათი დასკვნითი კომენტარები წყენით იყო გაკვერბული. „დამსჯეს იმისთვის, რაც ცხოვრებაში არ ჩამიდგია“ — თქვა კრისტიმ, კელოგანმა კი თითქმის სიტყვასიტყვით იგივე გამოკერა. ამ უკანასკნელს შეეშვათ, დიდი მორბენალი ის არ ყოფილა 400 მეტრზე ხტუნვა-სირბილი (თარჯობენი) უყვარდა და წლების მანძილზე ტიტულების მოპოვების გარეშე უმსაზრებოდ თავის ქვეყანას, კრისტის კი ისტორიისთვის ასე უბრალოდ გამეტება არ ეკუთვნის, ბარსელონის ოლიმპიადის ოქროც საკმარისია მასზე ორიოდე სიტყვის სათქმელად. მაშ, ასე...

ლინფორდ კრისტი 40 წლის წინ იაბაკაში დაიბადა და ჯერაც პატარა იყო, როცა მისი ოჯახი მცხუნვარე ყარბეთიდან ცივსა და ნისლიან ლონდონს გადაბარგდა, სადაც წლების მანძილზე გატირებდას ებრძოდა. პატარა ლინფორდი ერთ-ერთ სკოლაში შეიფრანს. კანის ფერის გამო საყოველთაო, მაგრამ უარყოფითი ყურადღება დამსხვრდა. „სკოლაში — წერს კრისტი თავისი ავტობიოგრაფიის ერთ-ერთ ფურცელზე — ბავშვები შემომხევივოდნენ და დამკვირვებდნენ: „ნიგერ, ნიგერ, ფულ იორ ტრიგერ“ (ზანგო, ზანგო, ჩახმახს გამოჰკარია), რაზეც გულს ვასკლებობდი“. გავიდა ხანი და ჭეშმარიტ ათლეტად ქცეული ის „ნიგერი“ ათასობით ბრიტანელისა და მათ

შორის, იქნებ ზოგი მისი გამაჟღარებლის კერად იქცა. მქლეონობას აღრევებ მოჰქიდა ხელი, თავის პირველი ტურნირი მიძიე განწყობით ირბინა — გამზრდელი ბეგბიას სიკვდილი შეატყობინეს, მაგრამ მაინც მოიგო. 1986 წელს ჭერქვეშ 200 მეტრზე ვეროპის ჩემპიონი გახდა (ამ და სხვა წარმატებებს იგი ბრიტანული მქლეონობის „უხმო გმირად“ ცნობილ რედ როდენს უმაღლის, რომელიც იმ დროს უკვე ცნობილი მწვრთნელი იყო). ყინული აქედან დაიძრა: სეულის ოლიმპიადაზე კრისტი მესამე იყო და მხოლოდ ბენ ჯონსონსა და კარლ ლუისს ჩამორჩა, ოლონდ ჯონსონი, გენსომებათ, დომინგის ხმარებისთვის დისკვალიფიკაციითა და ოქროს მედლის კონფისკაციით დასაჯეს, ამიტომ კრისტის ვერცხლი ერგო, მაგრამ აი, უბედურება... ჯონსონის სკანდალიდან ორიოდე დღეში ბრიტანელსაც ამცნეს, სისხლში დომინგი გიპოვეთო. „სიკვდილი მინდოდა — იხსენებს კრისტი — თავის მიკვლაზე ბევრი ვფიქრებ“. მაშინ გადარჩა და როცა 4 წლის შემდეგ ბარსელონაში აღარც ამერიკელთა მთავარი იმედი ლუისი გავიდა ბილიკზე, ლეროი ბარელი გააცამტყვრა და ოლიმპიური ჩემპიონი გახდა. მომდევნო წელს მსოფლიოს ჩემპიონობასაც გამოჰკრა ხელი და მსოფლიოს პირველი მორბენალი გახდა, თუმცა მცირე ხნით: ატლანტაში ბრძოლას ორი ცრუ სტარტი გამოეთიშა, აღარც მსოფლიოს პირველობებზე უსახელებია მეტად თავი და მასმედლას მუდმივად რომ უღრენდა, ამან კრიტიკოსებიც მოუშრავლა. და ასე დღემდე ამერიკიდან კრისტი მწვრთნელობას აპირებს, რისი გვარიანი გამოცდილებაც უკვე აქვს მწვრთნელის რანგში კრისტი სიდნეის ოლიმპიადაზეც წავა. ასეთი აზრით არსებობდა, დისკვალიფიკაცია ბრიტანულ ოლიმპიადაზე უბრალოდ მოხვედრასაც არ აღირსებო, მაგრამ IAAF-ის გენერალური მდივანი იშტან გულიაი „სკაი ნიუსთან“ ინტერვიუში ამბობს: „თუ იგი ბრიტანეთის ოლიმპიური ასოციაციის მიერ სიდნეიში აკრედიტებული იქნება, მას ნებისმიერი სხვა მწვრთნელივით შეეძლება ოლიმპიადაზე მოხვედრა“.

დავით გულას



ლინფორდ კრისტი



ზაზა დოლიძეს და მის შეგირდებს შინ თამაში მოეწონათ

მოდი, ჩამოხ... მართლაც სელზურთქველს უბოლო გავაზიფიფიფიფიფიფიფიფიფიფიფი

მეორე თვეა, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვაჟ სელზურთქველთა გუნდი სტუ — „მართლაც“ მონაწილეობით ემზადება დამდეგი სეზონისთვის.

წინდელივე მეთავე ეროვნული პირველობის მოგების შემდეგ, ზაზა დოლიძის ბიჭებმა სულ ოციოდე დღე დაისვენეს, მერე კი კვლავ განახლეს ვარჯიში. ვერ სავითო ფიზიკურ მომზადებაზე იყო აქცენტი გადატანილი, ნელ-ნელა ბურთსაც შეავლეს ხელი და ამჟამად, ჩვეული სერიოზულობით ყოველდღიურად სამ საათს მუშაობენ.

როგორც ბატონმა ზაზამ ვითხრა ცეცხლიანი დიდი მონღოლებით ვარჯიშობენ — მინარეობს და პოტენციური ლეგიონერებაც გადაწვეტილი ვერ მხოლოდ გუნდის კაპიტანს, ლევან გელაშვილის საქეა იგი ათენს მიეგზაურება და ერთი წლით საბრძოლეთის უმაღლეს დივიზიონში თამაშებს. ჩემოდნებსზე ხსენებენ როლანდ ერადე ტიტე კალანადე და გარი თურქიაკ — სექტემბერში დასაწყისში მათ გერმანიის კლუბში გასინჯვაზე ელიან. იყურ მწვერთხლებს ჩვენი ბიჭების თამაშების ვიდეოჩანაწერი უნახავთ, გარკვეული შთაბეჭდილებებიც შექმნათ და იმდია, კონტრაქტის გაფორმებას წინ აღარავერი დაუდგება ერთია, ვერავრობით უბრთოდ ვარჯიშობს კალანადე, რომელმაც იტალიაში მხრის ოპერაცია გაეკეთა, შემდეგ ვარკვეული წნით ურეკში მური სასწაულომოქმედი ქეიბთაც იმერალა და მალე ჩვეულ საბრძოლო ფორმაში იქნება.

გარდა ამისა, მოლაპარაკება მიმდინარეობს გერმანულ კლუბებში ალეკო ბოლოჩაძისა და ლევან ყიფიანის შესაძლო გადასვლაზე. აღსანიშნავია, რომ წამყვან ქართველ მოთამაშეთა სატრანსფერო საქმიანობაში აქტიურადა ჩაბმული, ამჟამად გერმანიაში მცხოვრები ჩვენი სახელოვანი ხელბურთელი ალექსანდრე ანპილოვოვი.

ზია ახალაძე

საქმეაან შენეან, საანდაზოაან უგან მიდევნეფული კაკალი, ყვავს გაავდეფიფიფიფიფიფიფიფიფიფიფი

სიღნეღის ოლიმპიადისთვის გამალებით ემზადებიან ქართველი მოჭიდავეეა. მათ გაჭირვებაზე არაერთხელ დაგვიწყობია — უფულობის გამო მოსამზადებელი პერიოდი თითქმის ჩაუვარდათ. სპორტის დეპარტამენტი ფედერაციის ვერ აფინანსებდა და სპორტსმენებისთვის აღარც შეკრებები არსებობდა და აღარც ტურნირები. ევ კი არა, კონტინენტის პირველობასა თუ სალიცენზიო მსოფლიოს ჩემპიონატებზეც ძლივს გაუშვეს. არადა, მოჭიდავეები ოლიმპიადაზე მეფილები მოპოვების რეალურ კანდიდატებად ითვლებიან.

საბედნიეროდ, ოლიმპიადის დაწყების წინ ვითარება გამოსწორდა და ხელისუფლებამ დეპარტამენტი, როგორც იქნა, დააფინანსა. მართალია, ეს უკან მიდევნებულ ლამპარს ჰგავს, მაგრამ სპორტსმენები ცდილობენ, დარჩენილი დღეები ნაყოფიერად გამოიყენონ. დანაკლისის ანაზღაურება რომ შეუძლებელია, იციან, მაგრამ მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტია.

მოჭიდავეებიც ასე იქცევიან. თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრები, ვერ, ივან იარიგინის სახელობის საერთაშორისო ტურნირში გამოვიდა, სადაც წინამძღობისათვის ოთარ თუშიშვილის (63) ვერცხლის მედალს დასჯერდა. მერე ქობულეთში გაიარეს შეკრება, გუშინ კი ამავე მიზნით ბორჯომში გაემზავნენ.

ოლიმპიადის პროგრამაში მათი ტურნირი ბოლოსთვისაა მოტოვებული, ამიტომ ისინი სიღნეღში საკმაოდ გვიან, 20 სექტემბერს წავლენ, მანამ კი კვლავ ბორჯომში გაივლიან დასვენით შეკრებას.

შეჯიბრებებს დანატრებულმა „ბერბენ-რომალებმა“ საკმაოდ მჭიდრო გრაფიკი შეადგინეს. აგვისტოს დასაწყისში მათ მოსკოვში, ივან პოდუბნის მეორე ალზე იტიდავეს, თუმც უშედეგოდ. მოსკოვიდან დაბრუნებულები სამშობლოში აღუბნდნენ და ახლა მისკში ემზადებიან. იქ ისინი ერთობლივ პარჯიშებს ატარებენ ბელარუსისა და ყაზახეთის ნაკრებებთან ერთად. გუნდი ამ დღეში ჩამოვა და დასკვნით შეკრებას ჩაქეში გაივლის, 12 სექტემბერს კი ავსტრალიაში გაემგზავრება.

ირაკლი თაგაძე

კორტიზონი პიტარცა კურტიზანი: შარი და ხატაბალა

„ტურ დე ფრანსზე“ რომ ვითომდა დობინგ-კონტროლების 45 პროცენტი დადებითშედეგაინ აღმოჩნდა, უკვე გაუწყვით. ამას საფრანგეთის დობინგთან ბრძოლის კომისია ამტკიცებს. ველოსპორტის საერთაშორისო კავშირმა კი ეს ამბავი უარყო — მხოლოდ ორი მებოლის საქეა საეკვოო. თუმცა, იქვე დაამატა, რომ საქმის ძირისძირიბამდე გამოძიებამდე დობინგის გამოყენებაზე ლაპარაკი უმართებულო იქნებოდა. იმ ორი მებოლის სახელოსაც არ ამხელდნენ.



ემანუელ მანინი

და აი, ორიოდ დღის წინ გაცხადდა, რომ იმ ორიდან ერთ-ერთი, ფრანგი ემანუელ მანინია. „ფრანსზეში“ წვერი ოლიმპიური თამაშებისთვის ქვეყნის ნაკრებშიც იყო მიწვეული, მაგრამ ახლა ავსტრალიაშიც აღარ წაიყვანენ. თუ რატომ, ახლავე მოგასსენებთ.

ფრანგული სპორტული გაზეთის „ლეპიასი“ ცნობით, მანინი დობინგზე 18 ივლისს შეამოწმეს მორხინში, მე-19 ეტაპის სრულების შემდეგ. ანალიზმა ცხადყო, რომ მებოლს კორტიზონის კუნთშორისი ინექცია გაუკეთებია, რათა ალერგის წინააღმდეგ ებრძოლა. ეს პრეპარატი კი შავ სიამია შეტანილი, თუმცა მისი გამოყენება მკურნალობის მიზნით და ექიმის რეცეპტით მაინცაა დაშუბული, ოღონდ კორტიზონის ორგანიზმში კუნთშორისი ინექციით მოხვედრა სასტიკად ყოფილა აკრძალული ველოსპორტის საერთაშორისო კავშირის მიერ.

„მანინამ კორტიზონი მხოლოდ მკურნალობის მიზნით გამოიყენა და ეს მის ჯანმრთელობის დღიურშიცა ჩაწერილი“ — თქვა „ფრანსზეში“ ექიმმა ჟერარ გიიომმა.

„ნათელია, რომ მებოლს რაიმე ცუდი განზრახვა არ ჰქონია. მას მხოლოდ

მკურნალობა სურდა. თუმცა მანინი ოლიმპიადაზე მაინც ვერ მიიღებს მონაწილეობას. 1998 წლიდან მოყოლებული, ველოსპორტის საერთაშორისო კავშირის მიერ მსოფლიოს ჩემპიონატებზე და ოლიმპიურ თამაშებში ისეთი ხალხის მონაწილეობა, რომლებიც დობინგის გამოყენებაში არიან ეჭვმიტანილი, აკრძალულია“ — განაცხადა საფრანგეთის ველოსპორტის ფედერაციის პრეზიდენტმა დანიელ ბაალმა.

რა თქმა უნდა, ალბათ, მანინი მართალიცაა, მაგრამ საავსტრალიოდ ნაკრებიდან მაინც ამოაგდებენ. მას ან ფრანსზე სიმონი შეეცვლის, ან კრისტოფ მანენი. საოლიმპიადოდ გამზადებული დანარჩენი ოთხი ფრანგი კი ლორან ჟალაბერი, რომარ ვირანკი, კრისტოფ მორო და ლორან ბროშარი არიან.

ანგელოზი სარ? რა დაინახა თვალახელიდა მარსელ ვუსტმა



მარსელ ვუსტი

წინა კვირას, ერთ-ერთი რიგითი შეჯიბრისას გერმანელი სპრინტერი მარსელ ვუსტი დაეცა და მარჯვენა თვალი ძალიან დაიზიანა. „ფესტინას“ წვერი დაახლოებით 60 კმ/სთ სიჩქარით მიქროდა საშუალოდ ფინიშიზე გამართული სპრინტისას, როცა ფრანგ ვან-მიშელ ტიუას გაჰკრა გვერდ, შემდეგ ბარიერს შეეჯახა და ველოსიპედიდან ჩამოვარდნისას თავი ასფალტს დაარტყა. ვუსტი მამინებ კლერმონ-ფერანის (კენტრალური საფრანგეთი) საავადმყოფოში მიიყვანეს, საიდანაც მალე კიოლნის სახის ქირურგიის კლინიკაში გადაიყვანეს.

ტრავმა იმდენად სერიოზული იყო, შეიძლებოდა, ვუსტს მარჯვენა თვალში

ნელობა, მარსელის შუშის თვალი ექნება, თუ თხუნელასავით მხედველობა. მას „ფესტინაში“ დაბრუნება ყოველთვის შეეძლება. თუ მებოლის კარიერას ვეღარ გააგრძელებს, მაშინ რაიმე სხვა საქმეს მოკიდებს ხელს“ — თქვა ფერანდესმა.

ასე რომ, თითქმის ყველა დარწმუნებული იყო ვუსტის უბედურებაში. ექიმებიც თითქმის არ იძლეოდნენ თვალის გადარჩენის იმედს. საბედნიეროდ, პარასკევს ჩატარებულმა ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა — რამდენიმე საათს გასტანა და ქირურგებმა თვალი გადაარჩინეს. „ახლა ვიცი, რომ მარსელი ისევ დაინახავს, ოღონდ რამდენად აბსოლუტური იქნება მხედველობა, ექიმები ვერ ვერ ვგეუბნებიან“ — თქვა მებოლის მეუღლე პაიკე ვუსტმა, რომელიც ორი წლის ვაჟთან ერთად ქმარს გვერდიდან არ შორდება.

„ოპერაციის შემდეგ ისეთი შეგრძენება მქონდა, თითქმის დაშვებული საბურავი ვიყავი. როცა თვალზე სახვევი მომხსნეს, ვერ კანაში სინათლე დავინახე, შემდეგ ქალის სილუეტის ჩრდილი. მეგონა, ანგელოზი იყო, მაგრამ უბრალოდ მედა აღმოჩნდა“ — თქვა 33 წლის მებოლმა, რომელმაც წლევეანდელ „ტურ დე ფრანსზე“ მეხუთე ეტაპზე გაიმარჯვა.

ოპერაციის წარმატებული კი გამოდა, მაგრამ ვუსტის და ექიმების ურთიერთობა ამით არ დასრულებულია. გერმანელი სპორტსმენი რამდენიმე დღეში კვლავ დაწვეს საოპერაციო მაგიდაზე. ამჯერად თვალს ხელს აღარ ახლებენ, მაგრამ სახის დამტკრეულ ძელებს მიუჩენენ თათთავის ადგილს.

„ატარა ბავშვითი მოუთმენელია“ — თქვა ქმარზე პაიკემ, როცა სპორტსმენმა ველოტრენაჟორი მოითხოვა, უვარჯიშებულად დიდ ხანს ვერ გაძლებო. ვარჯიში ვარჯიშად, მაგრამ წლეულს ვუსტი ალბათ, ვეღარსად შეძლებს გამოსვლას, თუმც იქ იცის...
ბაიოზ თალაგაძე

ქურის კაცები



ასეთია ამერიკული ბურთაობა — ვაკაცთა თამაში. იქ თუ თითი მოიტეხე, ვითომ არაფერი, თამაშს აგრძელებ, მაგრამ თუ ლავიწი დაგე მსხვრა, რაღას იზამ? მაიამელი მიმღები ლამარ ტომასი საკაცით ვაკაცთ მოედნიდან, მწვერთელი რაიან ვერმილონი კი (მარჯვნივ) ნირწამხდარი დასტკერის დასავებულ „დედლინს“. ტომასი ხომ პირველად გამოვიდა ძირითადში და ისიც იმიტომ, რომ ოჯეი მაკ დაფი წინა დღეებში მძიმებ დასავდა. თუმცა, იმ საღამოს მაიამის „პროპლეიერ სტედიუმზე“ ტაშისცემა და სალამ ქალამიც ბევრი იყო. ლეგენდარულ „დედლინს“ დან მარინოს (მარჯვნივ) გუნდის პატრონი ვეინ ჰოინგა ქალაქში „მარინოს ბულვარის“ გახსნას ულოცავდა. ხნოვანი დანი პირველი სპორტსმენია ფლორიდის შტატში, საკუთარი სახელობის ქუჩაზე რომ გაივლის.



სიდნეიდან სრულიად არასიდეშლოდ

ოლიმპიადისტების კი ემზადება ავსტრალია, მაგრამ არაოლიმპიურ სახეობათა შეჯიბრებებსაც მაინც გულღიად მასპინძლობს.

ოცდაოთხეტიკობიანი რბოლა ელის სპრინგხუსა და დარეინს შუა 4 067 კილომეტრზეა გაჭიმული. 600 კბ/სმ ძრავების მოტოთა შეჯიბრს სამი დღის თავზე

ავსტრალიელივე ენდრიუ კალდერკოტი ლიდერობს, რომელიც ავერ როგორი სიჩაუქით სერავს ფინკის მდინარეს. ამასობაში კი სიდნეის ოლიმპიურ სტადიონზე, პოუმბუზ ბეიში „საიდუმლო“ გამოცდა მიმდინარეობს. ადრიან დილით, ოლიმპიური მუშაკები მთავარ, რვა მეტრიან ოლიმპიურ კერიას ამონებენ — აბა, თხუთმეტ სექტემბერს როგორ აინთებანო. სიდნეისავე აეროპორტში გერმანული „ლუფტჰანზას“ „ბონგ 747“-მა უკვე ჩაიყვანა ოლიმპიადის მონაწილე პირველი ცხენი — იტალიური „ტოკიოჯო“. ამ ერთ კვირაში ოლიმპიურ ალაგას ორას ოცდაჩვიდმეტი დარჩეული ცხენი მთიერის თავს.



ჩემპიონთა ლიგა. მესამე ეტაპი

საპასუხო მატჩები. 22 აგვისტო

სლავია (ჩეხეთი) 0:2დ. (0:1) **შახტარი (უკრაინა)** (1:0) **ჩამპიონთა ლიგა**
0:1 ფორობეი (90), 0:2 ატელკანი (97)
8 578 მყურებელი
კამპუზი (ბრაზილია) 0:0 ბრონდაუ (დანია) (2:0)
გამწვები: იოჰანსენი (ბრონდბუ, 82)
44 351 მყურებელი
დინამო (სლოვაქია) 0:3 მილანი (იტალია) (1:3)
0:1, 0:2 შენფენო (23, 43), 0:3 ხოსე მარი (56)
გამწვები: აჯინი (დინამო, 44)
30 000 მყურებელი
გალატასარაი (თურქეთი) 2:2 სენტ გალენი (შვეიცარია) (2:1)
1:0 ზელვგერი (22სკ), 2:1 ფარდელი (27), 2:1 განეა (30), 2:2 აიზა (85)
16 000 მყურებელი

ინტერტოტოს თასი. ფინალი

საპასუხო მატჩები. 22 აგვისტო

ზენიტი (რუსეთი) 2:2 სელტა (ესპანეთი) (1:2)
1:0, 2:0 ბოპოვიჩი (32, 63), 2:1 კარბინი (83), 2:2 მაკკარტი (88)
21 000 მყურებელი
შტუტგარტი (გერმანია) 1:1 ოსერი (საფრანგეთი) (2:0)
0:1 კაბო (38), 1:1 ბალიაკოვი (62)
12 000 მყურებელი
უდინეზე (იტალია) 4:2დ. (2:2) სიგზა (ჩეხეთი) (2:2)
0:1 შაბალი (44), 1:1 მუცი (87), 1:2 მუზა (88), 2:2 უიფალუში (90სკ), 3:2 ხოსა (99), 4:2 მარჯიოტა (115)
გამწვები: მუცი (უდინეზე, 90); 20 000 მყურებელი

იზლისი

II ტური
ბრაიფორდი 2:0 ჩელსი
1:0 უინდასი (24), 2:0 კარბონე (74)
ბრედფორდი: კლარკი, ნოლანი, აზერტონი, ვეზეროლი, ობრაიენი, შარპი, მიაკალი, მოპკინი, პეტრესკუ (უარდი 75), კარბონე (მეიერსი 88), უინდასი
85 ვრთნელი: კრის შაინგსი
ჩელსი: დე გუი, ბაბაიარო (პარლი 46), მეხსიოტი (პანუში 62), დესაი, ტომე, პოიტი, უაიზი, დი მატეო, მორისი, ძოლა, მანელბაინეი (ფლო 55)
85 ვრთნელი: ჯანლუკა ვიბლი
გაფრთხილება: უიზი
მსაჯი: ჰელსი
17 872 მყურებელი

ლიგის თასი. I ეტაპი
ბარნეტი — უიკომბი 2:1; ბოლტონი — მაცლსფილდი 1:0; ბრაიტონი — მილუოლი 1:2; ბრისტოლი — ბრენტფორდი 2:2; ბარნლი — პარტლუი 4:1; კემბრიჯი — პორტსმუთი 0:0; ქრიუ — ბერი 2:2; დარლინგტონი — ნოტინგემი 2:2; უოლინგემი — ტორკვი 2:0; გრინსპი — კარლაისლი 2:0; პალი — ნოტისი 1:0; ლეიტონი — რენდგი 1:1; ლუტონი — პიტერბრო 0:0; მენსფილდი — რეტსემ 0:1; ნორთჰემპტონი — ფულემი 1:0; ნორვიჩი — ბორნუთი 0:0; ოლდემი — პადერსფილდი 1:1; პორტ ვალი — ჩესტერფილდი 1:2; რანდლ — ბლეჯერნი 1:1; როტერემი — პარმსლი 0:0; შეფილდი — ლინკოლნი 1:1; შრიუსბერი — პრესტონი 1:1; საუთენდი — ბორმინგემი 1:1; სტოკპორტი — ბლეკუოლ 0:1; სუონსი — ვესტ ბრომვიჩი 0:0; სუინდონი — უესტბერი 1:1; ტრანერი — პალიდუგი 3:0; უოლსოლი — კადრმინსტერი 1:1; უოტფორდი — ჩელტენემი 0:1; უიგანი — სპარბორი 1:1; უულვრემპტონი — ოტფორდი 0:1; იორკი — სტოკი 1:1

იუსვიჩი 1:1 მანჩესტერი
1:0 უილსონი (6), 1:1 ბექემი (39)
იუსვიჩი: რ. რაბიტი, უილსონი, ბრამბლი, პრეიდარსონი, ვენუსი, კლაფანი, ჯ. რაბიტი, პოლანდი (რუსერი 49), მადილტონი, ჯონსონი, სტიუარტი (სკოვკ როფტი 84)
85 ვრთნელი: ჯორჯ ბარლი
მანჩესტერი: ბარტგი, გ. ნევილი, უოლვორკი, სტამი, ფ. ნევილი (სილვესტრი 75), ბექემი, კინი, სქოუზი, გიგზი, სოლსკიფი (კოული 63), იორკი (შერინგემი 79)
85 ვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
გაფრთხილება: სტამი, უილსონი, იორკი, ფ. ნევილი, ბექემი
მსაჯი: უინტერი
22 007 მყურებელი

მიდლსტონი 1:1 ტოტენემი
0:1 ლეონარდენი (4), 1:1 სამერელი (59)
მიდლსტონი: შვარცერი, ფლემინგი, ვიკერსი, პალისტერი, ონიელი, კარამბე, ოკონი, სამერელი, ჯობი (დელამი 85), დინი, რიკარდი (კემბელი 85)

ჰოლანდია
I ტურის მატჩი
აიაასი 5:0 სიტარდი
1:0 ბრეველამი (8), 2:0 ქროზერი (27), 3:0 ბრეველამი (75), 4:0 პოსტ (77), 5:0 ვინზე (90)
37 000 მყურებელი

სარბიელი
საორტული გაჭეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევეს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ შინგუანიანა დირექტორი გიორგი ოქროსპირაძე რედაქტორი თამაზ მიგრიაული მთავარი რედაქტორის მოადგილე ილია ბაბუნაშვილი აკრძალული გურასაშვილი ქართული ფეხბურთის რედაქტორი მასტანდ ბეჭდველი ინფორმაციის რედაქტორი სოსო კობიაშვილი ტექნიკური რედაქტორი გურამ სეღიაშვილი კალათბურთის განყოფილების გამგე მირაბ რატიშვილი ფეხბურთის რედაქტორი ქართული განყოფილება კობა ინსარიძე მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი; უცხოური განყოფილება

ვიორგი ღარჯანია, ვიორგი ვაშაძე, ზურაბ მეტეხია, ვანო ოქროპირაძე; ინფორმაციის რედაქტორი ვანო ხალოძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება ვიო ასველიანი, ვიორგი ბეკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტაჟორები გურამ დოღუნიძე, ნათელა გიორგობანი, ლალა გოხალიძე კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მანა დიკრეაშვილი, კახა თალაკვაძე ტრენინგის კახურაშვილი, ნინო კედეშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბაძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შილაშვილი, ვიორგი ხარატიშვილი გამომწვები ზურაბ ინაშვილი

გამომცემი
თბილისი, ალექსანდრე ყაზვბისი გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29 ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge